1924 წ. 22 ივნისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 8 კპ. ჩერვონ.

ჩირაღდანი

№ 12—13 მაზ „კომუნისტი"-ს სალიტერატურო—სამხატვრო ორკვირეული დამატება № 12—13

ჯონ რიდი

ამერიკაში იშვიათია შემთხვევა, რომ შეძლებული კლასების წრიდან გამოსული ინტელიგენტები პროლეტარიატის ბანაკში გადმოდიოდენ, მონაწილეობას იღებდენ და ხელმძღვანელობდენ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას. ისეთი შემთხვევები კი, როცა მუშების წრიდან გამოსული მეთაურები კაპიტალის ერთგულ ლაქიად რომ ხდებიან, ასეთი შემთხვევები მთავარია. ამერიკის კაპიტალი მარტო იმით კი არ არის ძლიერი, რომ მის განკარგულებაშია უალრესად განვითარებული საწარმოო იარაღები და აუარებელი სიმდიდრე, არამედ უმთავრესად იმით, რომ მთელი სახელმწიფო მექანიზმი მათ ხელში არის. ევროპაში კიდევ არსებობს რაღაც „თავისუფალი საზოგადოებრივი აზრის" აჩრდილი მაინც, ამერიკაში ესეც არ არის. „საზოგადოებრივ აზრს" ქმნიან სხვა და სხვა ტრესტები და არტელები. თუ ამ ტრესტებს არ სურთ, ვერავითარი ცნობა ვერ დაიბეჭდება გაზეთებში. ისინი აუარებელ თანხებს ხარჯავენ გაზეთების მოსასყიდათ, მათ ყავთ საკუთარი პოლიცია, რომელიც თვალყურს ადევნებს „საეჭვო" პირებს.

ამერიკელი მწერალი უ. სინკლერი თავის წიგნში მოგვითხრობს, რომ მრავალი ლიბერალური და პროგრესიული გაზეთი—შემდეგ რეაქციონერების და კაპიტალისტების დამცველ ორგანოებათ გადაიქცენ—მოისყიდენ.

ამერიკელ კაპიტალისტებს მოსყიდული ყავთ ამერიკის მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელებიც. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე გომპერსი, რომელიც საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში ამერიკელ რეაქციონერებს უჭერს ხმარს, ისეთივე კაპიტალისტი-მილიონერია, როგორც როკფელერი და სხვები.

აბა ასეთი „მუშები" რას დაგიცავენ მუშათა კლასის ინტერესებს!

ჯონ რიდი არ გამოსულა მუშათა კლასის ბანაკიდან.

მისი მშობლები „მაღალ" წოდებას ეკუთვნოდენ, მათ მრავალი კონცესიები და საწარმოო დაწესებულებები ჰქონდათ ორეგონას შტატში.

განათლების დასამთავრებლად მშობლებმა ის გაგზავნეს გოვარდის ცნობილ უნივერსიტეტში, სადაც პროფესორები სტუდენტებიდან კაპიტალისტების ერთგულ დამცველებს ზრდიან, სადაც კლავენ ყოველივეს, რასაც კი ლიბერალობის ან რადიკალობის რაიმე ნიშანწყალი აქვს.

მაგრამ ჯონ რიდის რევოლიუციონურმა ბუნებამ გაუძლო ამ იეზუიტურ აღზრდას, არა თუ გაუძლო შეუტია კიდეც: მან უნივერსიტეტში დაარსა პირველი სოციალისტური კლუბი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან

ჯონ რიდი

ხელი მოჰკიდა ლიტერატურას და ჩქარა მეტად საპატიო ადგილი დაიჭირა ამერიკის ლიტერატორებისა და ჟურნალისტების წრეში.

როცა მექსიკაში დაიწყო რევოლიუცია, ჯონ რიდი გაეშურა იქ და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოძრაობაში. ამის შემდეგ მან დასწერა წიგნი „აჯანყებული მექსიკა", რომელშიც გამოააშკარავა ამერიკის კაპიტალისტების ინტრიგები მექსიკაში.

ნიუიორკში დაბრუნების შემდეგ ის მიიწვიეს თანამშრომლად ორ დიდ გაზეთში. მის წერილებს ისე აფასებდენ, რომ ამერიკაში ის ყველაზე მეტ ჰონორარს იღებდა: მარტო მისი ჰონორარი უდრიდა 50.000 მან. წლიწადში.

შემდეგ, როცა მისი სოციალისტურ-რევოლიუციონური სოფლმხედველობა ჩამოყალიბდა, მან ხელი აიღო თანამშრომლობაზე არასოციალისტურ გაზეთიბში.

1913 წელში ქ. პატერსონის (ნიუ ჯერსიის შტატში) საქსოვ ქარხნებში იფეთქა გაფიცვამ. პოლიციამ სცემა გაფიცულ მუშებს. ჯონ რიდი გაფიცვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, რის გამო პოლიციამ ის დააპატიმრა. ციხეში მან დასწერა პოემა „შერიფ რეტკლიფის სასტუმრო", რომელშიც ის აღწერდა პატერსონის ციხის საშინელ რეჟიმს. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, მას აუკრძალეს პატერსონში დაბრუნება. მაგრამ ის მაინც დაბრუნდა ქალაქში და ისეთი დიდი მიტინგი მოაწყო, რომ პოლიციამ ვერ გაბედა მისთვის ხელის ხლება.

ნიუ-იორკის უდიდეს შენობაში „მედისონ სკვერში" მან მოაწყო პატერსონის პროლეტარიატის ბრძოლის ინსცენიროვკა, რომელმაც ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ბურჟუაზიული გაზეთებიც კი იძულებული გახდენ პროტესტი განეცხადებიათ პეტერსონში პოლიციის მხეცობის წინაალმდეგ.

ჩქარა ამის შემდეგ ამხ. ჯ. რიდმა გამოააშკარავა მილიარდერ როკფელერის ბნელი საქმეები. როკფელერის „მოღვაწეობის" შესახებ გამოქვეყნებულმა ცნობებმა ისეთი აურ-ზაური გამოიწვია, რომ როკფელერმა პასუხის გებაში მისცა გაზეთები. სპეციალურმა საგამოძიებლო კომისიამ, რომელიც ამ საქმის გამო დაინიშნა, დაადასტურა ჯ. რიდის მიერ გამოქვეყნებული ცნობები და ფირმამ მიიღო ზომები, რომ მიეფუჩეჩებია საქმე.

1914 წელს ჯ. რიდს კვლავ მოუხდა შეტაკება „მილიარდერების მეფესთან". როკფელერის მაღაროებში კოლორადოში გაფიცვამ იფეთქა. მუშები ქუჩაში გამოყარეს. მაღაროების ახლო მუშებმა მოაწყვეს კარვები და თავი შეაფარეს. ფირმის აგენტებმა ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს კარვებს. ოცამდი ქალი და ბავშვი დაიწვა ცეცხლში. ჯონ რიდმა, რომელიც გაფიცულებთან იყო, შეკრიბა უტყუარი საბუთები და ისეთი განგაში ასტეხა, რომ

მთავრობა იძულებული გახდა ჩარეოდა საქმეში.

როცა მსოფლიო ომი დაიწყო, ამხ. ჯ. რიდი როგორც სამხედრო კორესპონდენტი, ევროპაში გაემგზავრა. აქ ის თავისი თვალით ხედავდა ომის საშინელებას და ყველაფერმა ნახულმა და გაგონილმა კიდევ უფრო განამტკიცა მასში რევოლიუციონური და ინტერნაციონალისტური სული.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მან შემოიარა მთელი სახელმწიფო და კამპანიას ეწეოდა ომის წინააღმდეგ.

რუსეთი მან ინახულა 1915 წ. მეფის ჟანდარმებმა დააპატიმრეს ის. თვითმპყრობელობის მხილებისათვის დახვრეტა უნდოდათ. ამერიკის ელჩისაგან მალავდენ თუ სად იმყოფებოდა ჯ. რიდი—ჩუმათ უნდოდათ გამესალმებიათ ის წუთი-სოფლისთვის. მაგრამ საელჩომ გაიგო და ჟანდარმები იძულებული გახდენ გაეთავისუფლებიათ ის.

რუსეთში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა დაარწმუნეს ჯ. რიდი რომ „რევოლიუციის ქარიშხალი ახლოვდება იქ“.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ჯ. რიდი რედაქტორობდა რევოლიუციონურ ჟურნალს „მასები“ (შემდეგ გამოდიოდა „განმათავისუფლებელი“-ს სახელწოდებით).

1917 წელში, როცა ამერიკა ჩაერია ომში, „დემოკრატიულმა“ მთავრობამ გააძლიერა პრესის თავისუფლების წინააღმდეგ პოლიციური ზომები. „მასები“-ს რედაქცია და მათ რიცხვში ჯონ რიდიც პასუხისგებაში მისცეს.

ამ დროს ჯ. რიდი რუსეთში იმყოფებოდა და არაფერი იცოდა „მასები-“ს დარბევის შესახებ.

რუსეთში ის ჩამოვიდა კორნილოვის გამოსვლის შემდეგ და თავისი თვალით ხედავდა „დემოკრატიული“ პარტიების გახრწნას და ბოლშევიზმის ზრდას.

მთელი ოქტომბრის გატრიალება მის თვალწინ გაიარა, ის მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

დამფუძნებელი კრების გარეკის შემდეგ, როცა მოელოდენ ესერებისა და სხვა კონტრრევოლიუციონერების გამოსვლას, ამხ. რიდი ამხ. ბელა-კუნთან ერთად მთელი ღამეების განმავლობაში იცავდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობას.

საბჭოების მესამე ყრილობაზე ის სიტყვით—გამოვიდა.

ჯ. რიდის ყურამდი მიაღწია ცნობამ, რომ ამერიკაში მის წინააღმდეგ აღძრულია ბრალდება ანტი-მილიტარისტულ აგიტაციაში. მიუხედავათ იმისა, რომ მას 20 წლის კატორღა მოელოდა, 1918 წ. იანვარში ის გაემგზავრა ამერიკაში. დიდის ვაი-ვაგლახით გაიარა მან ფინეთი, რომელიც თეთრ-გვარდიელების სათარეშოს წარმოადგენდა და ჩავიდა ნორვეგიაში. დიდის გაჭირვებით მიიღო აქ მან პასპორტი ამერიკის ელჩისაგან, გაემგზავრა „სამშობლოში“ და წარსდგა სასამართლოს წინაშე. ჯ. რიდი დააპატიმრეს და თავდების ქვეშ გამოუშვეს.

აქ დასწერა მან თავისი ცნობილი წიგნი „ათი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“.

ეს იყო პირველი წიგნი ამერიკაში, რომელიც ხატავდა რუსეთში მომხდარი ამბების ნამდვილ სურათს.

როცა დაიწყო მისი საქმის მეორეჯერ გარჩევა, პროკურორმა ყოველი ზომები მიიღო, რომ ჯ. რიდი გაემტყუნებიათ: სასამართლოსთან მოაწყვეს პატრიოტული მანიფესტაციები, დაქირავებული ორკესტრი უკავდა პატრიოტულ მარშებს.

როცა ჯ. რიდმა განაცხადა, რომ ის „თავის ვალად თვლის იბრძოლოს მხოლოდ საერთაშორისო სოციალური რევოლიუციის ბოლშევიკური დროშის ქვეშ“, პროკურორი შეეკითხა მას:

„იბრძოლიბთ თუ არა თქვენ ამერიკული დროშის ქვეშ? და მიიღო ჯ. რიდისაგან კატეგორიული:

— „არა“

,,რატომ?“—ეკითხება პროკურორი და ჯ. რიდი ამბობს ცეცხლის მფრქვევ სიტყვას, ამხილებს საერთაშორისო იმპერიალისტურ ყაჩაღებს, ხატავს ევროპის სასაკლაოზე ნახულ საშინელ სურათებს.

მსაჯულებმა გაამართლეს რიდი.

განთავისუფლების შემდეგ ჯ. რიდი მართავს მთელ რიგ მიტინგებს, სადაც იცავს საბჭოთა რუსეთს, რუსეთის პროლეტარიატს.

ერთი ასეთი მიტინგის გარეკა პოლიციამ მოინდომა ფილადელფიაში. ჯ. რიდი ავიდა ტრიბუნაზე და მაინც წარმოთქვა სიტყვა. ჯარისკაცებიც კი სულგანაბული უსმენდენ მას' წესრიგის დარღვევისათვის ის კვლავ მისცეს პასუხისგებაში, მაგრამ მსაჯულებმა ისევ გაამართლეს, პროკურორი ისე გაცვიფრდა ამ განაჩენით, რომ სთხოვა მსაჯულებს სათითაოდ დაედასტურებიათ განაჩენი.

ჯ. რიდი ენერგიულ მუშაობას ეწეოდა ამერიკაში ნამდვილი მუშათა პარტიის შესაქმნელად. ჯერ ის ცდილობდა მუშაობას ამერიკის სოციალისტური პარტიის შიგნით. მაგრამ როცა 1919 წლის ყრილობაზე პარტიის ყვითელმა ბელადებმა ჯ. რიდი და მისი თანამოაზრეები განდევნეს პარტიიდან და ყრილობიდან—ჯ. რიდმა მოაწყო ამერიკის კომუნისტური მუშათა პარტია.

1919 წ. ოქტომბერში ის კვლავ მიეშურება რუსეთისაკენ, საერთაშორისო რევოლიუციის ციხე-სიმაგრისაკენ. მას აუკრძალის ამერიკიდან გამგზავრება, მაგრამ მან მოახერხა არალეგალურად ჩამოსვლა რუსეთში.

რუსეთში ყოფნის დროს ჯონ რიდი ამერიკის მთავრობამ კვლავ მისცა პასუხისგებაში. ჯონ რიდი გაემგზავრა ამერიკაში, რომ წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე. ვინაიდან მას პასპორტი არ ქონდა, ის დაიმალა ნახშირის საწყობში, მაგრამ ერთმა მეზღვაურმა გასცა და ის მოათავსეს ფინეთის ციხეში. ჯონ რიდმა სიმშილობა გამოაცხადა და მას მისცეს ნება დაბრუნებულიყო ისევ რუსეთში.

აქ ის, როგორც ამერიკის კომუნისტური პარტიის დელეგატი მონაწილეობას იღებდა კომინტერნის მეორე კონგრესის მუშაობაში, ის იყო აგრეთვე ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე.

გარდაიცვალა ის 1920 წ. 17 ოქტომბერს.

დასაფლავებულია რევოლიუციის სატახტო ქალაქში, მოსკოვში, რომელიც მას ძლიერ უყვარდა, წითელ მოედანზე, და მის უბრალო ძეგლზე ამოკვეთილია შემდეგი სიტყვები: ჯონ რიდი მესამე ინტერნაციონალის დელეგატი. 1920 წ.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები არასოდეს არ დაივიწყებენ თავის უდიდეს მეგობარს და გულწრფელ რევოლიუციონერს ჯონ რიდს, კაცს, რომელმაც დასწერა ოქტომბრის დიდი გადატრიალების მიუდგომელი ისტორია: „ათი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“.

ე. წ.

იწვის ქვეყანა

იწვის ქვეყანა ცეცხლის მოდებით
გულ გაპობილი და დაღარული,
და შრომის გმირთა მხნე მოწოდებით
ფეხზე დგას ხალხი, ისმის არული.

—

გრიგალი მოდის მეტ გახელებით
კივის: „მსოფლიოვ განადგურდები“!..
და ზარბაზნების ამეტყველებას
სცვივა პირიდან ცეცხლის ბურთები.

—

ჰაერი თითქოს დამძიმდა კიდეც
და შეუერთდა გრაგანს და ხმაურს,
მიწამ აიკრა წითელი რიდე—
დაუძმობილდა მუშა მეზღვაურს.

—

თითქოს არ გრძნობდე ტკივილებს სადმე,
თავისუფლებამ აიღო ხალხი,
და თავის უხეშ მყვლეფელ მტრისადმი
აღივსენ შურით და სიძულვილით.

—

დღე ისე იდგა ვით დისკო მთვარის
აჯანყებულებს „მოჰქონდათ“ ქუჩა,
იყო გახედვა ყველას მშფოთვარე,
ფეხს მოადგამდენ კუშტად და ურჩად.

—

სასახლის კარი ყველგან დახურეს,
და შიშით ყველა ასე ყვიროდა:
„ხალხო! ქალაქი გაანადგურეს,
„წამოგვეშველეთ სანაპიროდან!

—

„თორემ ინანებთ, იქნება გვიან,
„ცარცვა და გლეჯა დაიწყო ხშირი,
„ბრბომ ყველაფერი დაგვაკარგვია,
„აგერ ხაზინამც მოგჭამა ჭირი!

—

ჟანდარმი ჰყვირის: შეჰკარით ქუჩა,
მასზე არავინ არ გადაუშვათ,
იყოს ლამაზი ქალი ბუტკუჩა,
და თუნდ უხეში კურტანით მუშა.

—

მაგრამ ბრძანებას ვინ შეასრულებს,
როცა ტაკტაკებს ტყვიისმფრქვეველი,
ზოგ დაჭრილს სწარაფად უხვევენ წყლულებს,
ზოგი კი გდია შეუხვეველი.

—

და ზარბაზნები განაგრძობს გრიალს,
ხანძარი სახლებს მძლავრად ედება,
და ამ საზღაპრო ცეცხლის ხეტიალს,
აქვს სამშვიდობო დაიმედება.

—

შესდექით ყველა! ჩხავის ბობოლა,
მაგრამ ჯარს უკვე არ ეყურება,
კარგათ გაიგეს მათ. რომ ეს ბრძოლა
არის მათ ძმების განადგურება.

—

გამოდის მღვდელი მეფის ქებითა
და ლაშქარს პირჯვარს სამჯერ გადასწერს,
მაგრამ უცებ მას ჩსუქან მხრებიდან
თმა შევერცხლილი თავი გადასჭრეს...

—

ასე... „ბრბოს“ ძალა ვერ შეაფერხეს,
და ამ ლოზუნგს ის დღეს ახმაურებს:
ძალაუფლება მუშებს და გლეხებს,
წითელ ლაშქრელებს და მეზღვაურებს!

ი. უკუნდგარელი.

პასუხისმგებელი მუშაკის ცოლი

ერთმოქმედებიანი ოსტროვსკის არსებითი ინტერესისა.

მოქმედი პირნი:

პასუხისმგებელი მუშაკი.
ამისი ცოლი.
მეგობარი.

(პასუხისმგებელი მუშაკის ოთახი. დიდი საწერი მაგიდა, წიგნებ-გაზეთებით დატვირთული. ტახტი. ორი სკამი. ღამის სამი საათია. მაგიდაზე თავდაყრდნობილი სთვლემს პასუხისმგებელი მუშაკის ცოლი. ისმის კარების კაკუნი).

ცოლი (გამოიღვიძებს). ვინ არის იქ?

პასუხისმგებელი მუშაკი (შემოდის). ეს მე ვარ, ჟენიჩკა. შენ ჯერ კიდევ არ გძინავს?

ცოლი. არა, მე ვცეკვობ!

პასუხ. მუშაკი. მე კი მოულოდნელად დამიგვიანდა საუწყებათაშორისო სხდომაზე ფრიად საყურადღებო საკითხი ირჩეოდა. შენ წარმოიდგინე, რომ ..

ცოლი. მე ეს სრულებით არ მაინტერესებს!

პასუხ. მუშაკი. შენ გაჯავრებული ხარ? რაშია საქმე?

ცოლი. მე ვამბობ, რომ სრულებით არ მაინტერესებს თქვენი სხდომა!

პასუხ. მუშაკი. რა გაჯავრებს მერე? მე ხომ არა ვარ დამნაშავე, რომ თათბირი დიდ ხანს გაგრძელდა! ასოყლაპიაძემ შემოიტანა რეზოლიუცია ..

ცოლი. ოხ! მომასვენეთ ერთი თქვენი რეზოლიუციებისგან!

პასუხ მუშაკი. ჟენიჩკა, მე შენი არაფერი გამეგება! რა არის, რას ნიშნავს ასეთი კილო?

ცოლი. არაფერი გაგიგება? ხო! რა თქმა უნდა, საქმე რეზოლიუციებს და სხდომებს ეხებოდეს, მაშინ გაიგებდი, მარა რაკი საკითხი ცოლს ეხება—არაფერი გესმის! მომბეზრდა მე ყველაფერი ეს, გესმით, მომბეზრდა!

პასუხ. მუშაკი. რა გაყვირებს. მე ხომ ყრუ არა ვარ, ილაპარაკე დამშვიდებით და წყნარათ. რაშია საქმე, რა ბზიკმა გიკბინა?

ცოლი (ყვირის). მე წყნარათ ვლაპარაკობ, მომბეზრდა ასეთი ცხოვრება. დღე და ღამე შენ სადღაც სხდომებზე ხარ, გამოგაქვს რეზოლიუციები, დარბიხარ, როგორც ცოფიანი ძაღლი. ძე კი უნდა ვიჯდე სახლში მარტოთ! ტუსაღივით ოთხ კედელშეა გამომწყდეიული! შენგან სიტყვა არ მესმის. მხოლოდ კრებებში და სხდომებში ხარ გართული. თუ კი მოხვედი შინ—იმ წუთში ჩარგავ ცხვირს გაზეთებში ..

პასუხ. მუშაკი. გამიგონე, მე მოქანცული ვარ, მოსვენება მინდა. თან საჩქარო საქმე მაქვს: დილისთვის მოხსენება უნდა მოვამზადო. ამას მოფიქრება ესაჭიროება. უმჯობესია დაწვე და დაიძინო.

ცოლი მისტუმრებ დასაძინებლად განა! შენთვის მოხსენება ჩემზე უძვირფასესია! კმარა! მე ვთხოულობ ეხლავე მითხრა—დიდხანს გაგრძელდება კიდევ ასეთი ცხოვრება? ვინა ვარ მე თქვენთვის—ცოლი თუ მონა?

პასუხ მუშაკი. გესმის, უკეთესია დაიძინო, შენ მე ხელს მიშლი!

ცოლი. ხელს გიშლით? მართლა? თქვენ მე მიპასუხებთ თუ არა,—ვინ უფრო ძვირფასია თქვენთვის: მე თუ თქვენი თათბირები და სხდომები?

პასუხ. მუშაკი. ჟენიჩკა, ნუ ედები ღობეყორეს! მე საჩქარო საქმე მაქვს. მოფიქრება მინდა. დაწექი და დაიძინე, გეთაყვა!

ცოლი. რაო? მოფიქრება გინდათ? მაშინ რაღას ფიქრობდით, როცა მე მირთავდით? თუ ნივთს იძენდით, რომლის დადგმა შეგეძლოთ, სადაც მოისურვებდით, ან მონას, ულიტყვო არსებას? არა, მოწყალეო ხელმწიფევ! მე ვთხოულობ, გესმით, ვთხოულობ, რომ ეხლავე მიპასუხოთ: სანამდი ირბენთ თქვენ კრებებზე და თათბირებზე და მიმატოვებთ მე მარტოთ მარტოს ამ ოთხ კედელშეა, ან გეძნებათ ცხვირი ჩარგული თქვენ საძაგილ გაზეთებში?

პასუხისმგ. მუშ. მე კი ვთხოულობ, რომ ნუ ყვირი ისე, თითქოს დანას გიყრიდენ ყელში! ყვეილა მეზობლებს გააღვიძებ! რას თხოულობ ჩემგან, არ მესმის! ყვეილა კრებებზე და თათბირებზე თან გათრიო, თუ რა გინდა? თუ ის გინდა, რომ შინი ჯაბის კალთაზე ჩაფრენილი ვიჯდე სახლში? მე საპასუხისმგებლო საქმეებით ვარ დატვირთული. დილისთვის უნდა მოხსენება მოვამზადო შენ კი, იმის მაგიერ, რომ დამშვიდებით მუშაობის საშვალება მომცე, საშინელ აურზაურს მიტეხავ ამ ნაშუალამევს,—რისთვის არც კი ვიცი! მოგებეზრდა სახლში ყოფნა? წადი გეისეირნე, იკითხე წიგნი, ჩაეწერე კურსებზე, თუ არა და სამსახურში შედი!

ცოლი. ხო-ო? გმადლობთ დარიგებისათვის! დიდათ გმადლობთ! რა თქმა უნდა, შენი სურვილია, რომ ერთმანეთს სრულებით აღარ ვხედავდეთ! მესმის. ეხლა მე კარგათ მესმის, თუ რა სხდომებზე და თათბირებზე მიილტვით თქვენ! მე სულელს აზრათაც კი არ მომდიოდა აქამდის თავში!

პასუხისმგ. მუშა. ეს რაღა არის კიდევ?

ცოლი. დიახ, დიახ! ეხლა ჩემთვის ყველაფერი ცხადია! შენ .. თქვენ კრებაზე კი არ დადიხართ, არამედ საყვარელთან! აი რა არის!

პასუხისმგ. მუშ. ჭკუიდან ხომ არ შეშლილხარ?

ცოლი. ხო, ხო, შენ საყვარელი გყავს და იმასთან იკარგები მთელი დღე-ღამეები! მე კი მატყუილებ რაღაც კრებებით და თათბირებით!

პასუხისმგ. მუშ. ევგენია, მე შენ გიკრძალავ ასეთ რამეების ლაპარაკს! ეს უნამუსობა არის!

ცოლი. რატომ ცხვირმოქცეულიძე არ დარბის კრებებზე? რატომ მოცხებაძე დაიარება თავის ცოლთან თეატრში? ისინიც შენსავით მუშაობენ, მარა მაინც პოულობენ დროს თავიანთ ცოლებისათვის!

პასუხისმგ. მუშ. არც ცხვირმოქცეულიძე და არც მოცხებაძე პასუხისმგებლები არ არიან. მე კი პასუხისმგებელი მუშაკი ვარ, გესმის ეს შენ თუ არა! მე პასუხს ვაგებ ჩემი მუშაობისთვის. ხვალ რომ მე მკითხონ, თუ რატომ არ მოვამზადე მოხსენება,—როგორ გგონია შენ, მე შემიძლია უპასუხო, რომ ამაში დამნაშავეა ჩემი ერთგული მეუღლე მეთქი თუ? რა სირეგვნეა ყველა ეს! დღე-ღამეში ოცდა ოთხ საათს ვმუშაობ და მე კი მეუბნებიან, რომ საყვარელთან ვატარებ დროს! რაგორ მოგწონთ ეს?!

ცოლი. თქვენ როგორღა მოგწონთ, რომ მე ვხედავ ჩემ ქმარს მხოლოთ ღამეობით? როცა მე ლაპარაკის ხასიათზე ვარ, შენ მეჩიჩინები რაღაცა რეზოლიუციებზე, მოხსენებებზე, ანგარიშზე! მე გეუბნები, რომ მომბეზრდა ასეთი ცხოვრება, შენ კი მირჩევ ძილათ დაწოლას! მე ვამბობ მომწყინდა მარტო ყოფნა, შენ კი მირჩევ სასეირნოთ წასვლას, წიგნების კითხვას, სამსახურში შესვლას! მიპასუხე ეხლავე: შენ ვისზე დაქორწინდი—ჩემზე თუ საზოგადო საქმეზე? შენ ვის გამოუცხადე სიყვარული—მე თუ რეზოლიუციებს?

პასუხისმგ. მუშ. მე ეხლა ვნანობ, რომ შენ გამოგიცხადე სიყვარული და არა რეზოლიუციას: ის ქემაინც ოჯახურ აყალმაყალს არ გამიმართავდა და ასეთ რეგვნულ კითხვებს არ დამისვამდა!

ცოლი ხო—ო! აი როგორ! ამ შემთხვევაში მე თქვენ არ გაკავებთ: შეგიძლიათ ეხვიოთ და ჭკოცნოთ თქვენი რეზოლიუციები! ერთად ერთი გამოსავალი დაგვრჩენია—გაყრა.

პასუხისმგ. მუშა. მე თანახმა ვარ, თუნდა ამ წუთში! მე უკვე გაგიყარეთ, გთხოვთ ხელს ნუღარ მიშლით—მოხსენებას ვამზადებ! (სწერს)

ცოლი. პასუხისმგებელი მუშაკი! დახეთ ერთი ამ პასუხისმგებელ მუშაკს! უწყალო მტანჯველი? მუდრეგი! (სტირის).

პასუხისმგ. მუშ. ოხ, ღმერთო! (მიდის ცოლთან) არ გესმის! კარგია, კმარა! არ შემიძლია დედაკაცის ცრემლების დანახვა! ევენია, შედი ჩემს მდგომარეობაში, გაიგე საქმის ვითარება! მე აუარებელი საპასუხისმგებლო საქმეები მაბარია! არ შემიძლია მათზე ყარის თქმა იმიტომ, რომ შენ მოგწყინდა! რას ემსგავსება, რომ წავიდე და უთხრა ამხანაგებს: გამათავისუფლეთ, გითაყვათ, საქმეებისაგან, რადგან ჩემ ცოლს, ევენიას, მოსწყინდა მეთქი! კარგია, გაჩუმდი! სიტყვას გაძლევ, როგორც კი ცოტათი გავთავისუფლდები საქმეებიდან, მუდამ შენთან ვიქნები: ვივლით თეატრში, სასეირნოთ, ლექციებზე, ვიკითხავთ „ჩირაღდანს“.

ცოლი. მატყუილებ... შენ ამას მეუბნები განგებ, რომ დამამშვიდო...

პასუხისმგ. მუშა. რატომ არ გრცხვენია მაგრე ლაპარაკი! მე მართალს გეუბნები! ეხლა აუარებელი საქმეები მაქვს, მაგრამ როგორც კი მოვითავებ...

ცოლი. მაშ არ მატყუებ?

პასუხისმგ. მუშა. ევენია!..

ცოლი. კარგი ამა, ნუ გაჯავრდები, გეთაყვა! მე ისე დავიტანჯე! სულ მარტო და მარტო!

პასუხისმგ. მუშა. დამშვიდდი, გონიერათ იყავი! აი მაგრე! ეხლა დაწექი და დაიძინე. მე უნდა ვიმუშაო, მოხსენება უნდა მოვამზადო დილისთვის. (ჯდება და იწყებს წერას).

ცოლი. კი მარა, შენ მართალს ამბობ, რომ საყვარელი არა გყავს?

პასუხისმგებ. მუშა. ქენია!..

ცოლი. კარგი, კარგი! ნუ გაჯავრდები გეთაყვა! იქნება საქმელი გინდა?

პასუხისმგ. მუშა. არა, არ მინდა, ჩემო კარგო! (სწერს).

ცოლი. რძეს ხომ არ დალევ?

პასუხისმგ. მუშა. ქენია, ხელს ნუ მიშლი, არაფერი არ მინდა. დაწექი და დაიძინე.

ცოლი. მართას გაუგზავნე წერილი რომ მოგეცი?

პასუხისმგ. მუშა. რა წერილი? ხო, მართლა! გაუგზავნე, როგორ არა! კარგი, რომ გამახსენე,—მართასგანაც წერილია შენთან. ისეთნაირათ შემხვდი, რომ ქე დამავიწყდა გადმოცემა. (ეძებს წერილს ჯიბეებში). აღარც კი მახსოვს სად ჩავდე. ალბათ პალტოს ჯიბეშია. (იძებს). აქაც არ არის! ნეტა სად ჩავდებდი? პორტფელში ხომ არ იქნება? (ეძებს პორტფელში). არც აქ სჩანს. ეშმაკმა არ იცის, სად დაიკარგა!

ცოლი. გულის მარცხენა ჯიბეში არ გინახავს.

პასუხისმგ. მუშა. არ არის ხო, ალბათ რეზოლიუციას გავაყოლე სხდომაზე.

ცოლი. რაო?! რეზოლიუციას გააყოლი? რატომ თავიც არ გადააყოლე იმ რეზოლიუციას! მიკვირს?

პასუხისმგ. მუშ. კარგია, კარგი! ხვალ მიიღებ შენ წერილს.

ცოლი შენ ის ალბათ დაჭარგე სადმე!

პასუხისმგ. მუშ. გეუბნები, რეზოლიუციასთან ერთად დამრჩა სხდომაზე მეთქი და ხვალ მოგიტანთ!

ცოლი. როგორ მოგწონთ ეს! სხვის წერილის რეზოლიუციასთან ერთად დატოვება სხდომაზე!

პასუხისმგ. მუშ. როგორ გინდა ახლა, ხომ არ გავიქეცი ღამით შენი წერილის მოსატანათ? ხვალამდი არ მოვკვდები მგონი და ხვალ კი მიიღებ უკლებლათ!

ცოლი. მე ახლა მინდა, მომეცი ჩემი წერილი ახლავე! გესმით!

პასუხისმგ. მუშ. ქენია!

ცოლი. ნუ მიყვირი, ყრუ არა ვარ! მომეცი წერილი მეთქი!

პასუხისმგ მუშ. როგორ!

ცოლი მომეცი წერილი!

პასუხისმგ. მუშ. შენ ჭკუიდან ხომ არ შეიშალე?

ცოლი. არა, ეს შენა ხარ ჭკუიდან შეშლილი რამდენი ხანია! ასეთ რეგვენს გავყევი ცოლათ მე უბედურმა! ღმერთო რატომ ასე დამსაჯე! არა, ამნაირათ ცხოვრება აღარ შეიძლებ! გაყრა, გაყრა, გაყრა!

პასუხისმგ. მუშ. ინებეთ! თუნდაც ოცჯერ, მეც არ შეიძლია ასეთ საუნჯესთან ცხოვრება! გავიყაროთ! უბედური გიჟი!

ცოლი. რაო! მე ვარ გიჟი? კარგი მაშ! ჩემი ფეხი არ დაიდგმის ამის შემდეგ აქ! კმარა, მეყოფა! (იცვამს ტანზე).

პასუხისმგ. მუშ. ევგენია! თავი დაანებე თვალთმაქცობას! სად ეშმაკებში მიხვალ ამ ნაშუაღამევის სამ საათზე?

ცოლი. ეს თქვენი საქმე არ არის! უმჯობესი იქნება თქვენთვის რეზოლიუციებს და მოხსენებებს მიხედოთ! (გადის და კარებს მიახეთქებს).

პასუხისმგ. მუშ. ევგენია! არ გესმის! ეშმაკმა წაგიღოს ბარემაც! (აღელვებული დადის წინ და უკან. შემდეგ დაჯდება და იწყებს წერას. მოისმის კარების კაკუნი). შემოდით! (ოთახში შემოდის დაღვრემილი მ ე გ ობ ა რ ი). შენა ხარ? ასე გვიან რამ მოგიყვანა, რა მოხდა?

მეგობარი. (დაადგებს ქუდს და მოწყვეტით ჩაჯდება). აღარ შემიძლია მეტის მოთმენა!

პასუხისმგებ. მუშ. რა იყო, რის მოთმენა არ შეგიძლია?

მეგობარი. ვერ წარმოიდგენ შენ, რა აუტანელი რამ არის! მოვიდი სახლში სხდომიდან თუ არა, ვეფხვივით მეცა ცოლი. მიყვირის, რომ მე ვატყუილებ მას, რომ მე საყვარელთან ვიკარგები მთელი დღე-ღამობით! მთხოვს გაყრას! ასტეხა ამ ნაშუაღამევს ისეთი ალიაქოთი, რომ გამოქცევის მეტი საშუალება აღარათერი დამრჩენოდა!.. მითხარი, შეიძლება შენთან ღამის გათევა?

პასუხისმგ. მუშ. როგორ, შენც ჩემსავით გეჭირს?!

მეგობარი. განა შენც ჩემს დღეში ხარ?!

პასუხისმგ მუშ. ერთი წუთით აღრე. რომ მოსულიყავი, ისეთ ამბავს ნახავდი, რომ ომს მოგაგონებდა. ყველაფერი ამის შემდეგ ჩემი გადარეული ქალი გაიქცა კიდევ სადღაც.

მეგობარი. ყველაზე უარესი ის არის, რომ საჩქარო საქმე მაქვს: დილისთვის უსათუოდ მოხსენება უნდა მოვამზადო.

პასუხისმგ. მუშ ჩემი საქმეც მაგრე არ არის! მეც მოხსენება უნდა მოვამზადო. ოხ, ძმავ! შეიქედით, მარა როგორ, ცოლები რომ შეეცვლოთ!

მეგობარი. მაშ, მაშ! რა ჯანდაბათ გვინდოდა!

პასუხისმგ. მუშა. იცი, მეგობარო, რა გითხრა: მივაფურთხოთ ყველაფერს და მოდი ერთი ხელი ჰადრაკი ვითამაშოთ, დასამშვიდებლათ.

მეგობარი. კეთილი! ვითამაშოთ!

პასუხისმგ. მუშ. (აწყობს ჰადრაკს). ყველაზე უარესი ის არის, რომ ამ ქალებს არავითარი ლოგიკა არა აქვთ! შენ შენსას ეუბნები, ის კი მისას გაიძახის! აბა, შენია გამოსვლა.

მეგობარი მაშ! ქალების ლოგიკის შესახებ კი რა მოგახსენო, მეტათ მწყრალათ არიან ამ საქონელზე!..

ცოლი. (შემოდის. გაჯავრებული იხდის პალტოს. არ იფიქროთ, რომ დავბრუნდი! დილით ისევ წავალ სამუდამოთ! ქუჩაში ხომ არ გავათევდი ღამეს?

მეგობარი. გამარჯვებით, ევგენია ივანოვნა! მაპატიეთ, რომ ასე გვიან შეგაწუხეთ. თათბირზე დამიგვიანდა და...

ცოლი. თქვენ რაღათ სტყუით! ვიცი თქვენი თათბირზე დაგვიანება რასაც ნიშნავს! (მიდის მაგიდასთან და გადაუსობს ხელს ჰადრაკს). ეშმაკმა წაიღოს! თქვენ აქაც კრებას გამიმართავთ! მე ძილი მინდა! (პასუხისმგებელი მუშაკი და მისი მეგობარი უსიტყვოთ ჭკრეფენ იატაკიდან ჰადრაკის ფიგურებს. ქენია გაუხდელათ წვება ტახტზე და წაიხუვრავს პალტოს).

პასუხისმგ. მუშ. ასეა, ძმავ! რა გაეწყობა დავწვეთ ისევ.

მეგობარი. მოხსენება?

პასუხისმგებელი მუშაკი (ხელს ჩაიქნევს) რაღა დროის მოხსენებაა!. (დაიგებენ იატაკზე პალტოებს, ამოიდებენ თავქვეშ წიგნებს და წვებიან).

თარგ. ს. თ—იასი.

მჭედელი

ბრძოლის ველზე განთიადი
დასაწყისის ნიშანია
და შვადღე, მზის ბარიკადი,
გამარჯვების მისანია;

მიზანია იგი ბრძოლის
მიწყივ კვრამდე მწუხრის ბინდის,
როცა მთვარე დისკოს ბროლის,
აელვარებს „ფერად შინდის“!..

შინდის ფერსა—ბროლის მტვერი
ისე ნაზად აფერადებს,
თითქოს ბაღი, ტყე, თუ ტევრი
დაეფუთნოს სათუთ ვარდებს ..

ვარდებს სძინავთ დაფნის ფოთოლს
ყური უვის, ანაცქვეტი,
და შადრევნად ძლევის გოდოლს
მისდევს ცისკენ ოქროს სვეტი...

სვეტი ჰივის მიწის პირსა,
მაგრამ ცაში ორთქლავს ბროლით,
და დამღერის ღამე სტვირსა,
რაც მოიგო წინ დღის ბრძოლით!..

ბრძოლით ისევ გზას მოიკვლევს
დღე, მებრძოლი, ხვალინდელი:
საღამოს მწუხრს ის ცისკრით სძლევს
და ჰფეთქს ისევ ბრძოლის ველი!..

ველი, ვრცელი, ღაღავს და ზედ
დრო-მჭედელი ჰგორგლავს რგოლებს:
ჯაჭვს მიწაზე შ.ის და ცაზედ ,
ის ცეცხლის ეტლს მიაქროლებს!..

ნ. ზომლეთელი.



გაზაფხულის მოლოდინში

ქარიშხალი ღმუის, გრგვინავს,
აღძრული აქვს ბრძოლის ჭინი,
აკანკ ლებს, აძაგძაგებს
გაზაფხულის მოლოდინი.

გამოუხ ხლდით, მუშა გლეხნო,
გაამაგრეთ ქოხმახები,
სიცივეს არ შეუშინდეთ,
ხელთ აიღეთ თოხ ბარები!

მეც განზე არ გაგიდგებით,
მივუმატოთ ხნული-ხნულსა,
რომ პირნათლად მივეგებოთ
მოსაველიან გაზაფხულსა.

დეე, ქარმა მიწას ჭუჭყი
გადარეცხოს, გადარიყოს,
რაც ფუყია ქვეყანაზე,
გვირჩევნია, სულ არ იყოს!

მუშა გიგო ხეჩუა შვილი

ვ. პეტრიაკა.

საიდუმლო ნიშნები

ალიონის ბურუსში.

მაღალი—ოთხრი სახლის ალაყაფის კარებიდან გამოვიდა საოცარი ფიგურა, რომელიც თავზე იხვევდა ტყავის ქურქის გრძელ კალთებს.

ალიონის ბურუსში—რომელიც მუდმივი სტუმარია საფრანგეთის სამეფოწველო ქალაქ სენტ-ეტიენას ჩრდილო ნაწილის. საოცარი უცნობი, რომელიც ასე ადრე გამოვიდა ყინვაში—მიუახლოვდა გალავანს, რომელიც აკრავდა თეთრ სახლს. შეჩერდა. შემდეგ, სხეულს ზანტად ამოაშორა ხელი და გააყოლა ფიცარზე.

ხელის მოძრაობის მიხედვით გალავანზე ათეთრდა ნიშნები:

2—4 ш, 13—8 ш,
14—3 ш, 6—2 ш...

დასწერა ორი რიგი ნიშნების. უცნობმა ისევ საჩქაროდ წაიღო ცარცი. მიიმალა იმავე შავად პირდაღებულ კარებში—რომლიდანაც გამოვიდა.

პოლიცია აღელვებულია.

ჩრდილო განყოფილების პოლიციის უფროსის—დუკურსის კაბინეტში, ღამით სწარმოებდა სასწრაფო სხდომა. შპიკების მთელი ინსტიტუტი იღებდა თათბირზე მონაწილეობას. აქვე იყო „ნიჭიერი“ მუსიო მაკინო:—მაღალი: ხმელი და უზარმაზარი სათვალეებით, ის იჯდა გვერდით დამშვიდებული სახის გამომეტყველებით—თითქოს თათბირზე არ იღებდა მონაწილეობას.

დამნაშავე კრიმინალოგიის ყველა მნათობების ასე უეცრად შეყრისა იყო ეხლახან მიღებული ტელეგრამა ლაფონისაგან—რომელიც იყო სენტ-ეტიენას პოლიციის მთავარ სამმართველოს უფროსი.

ტელეგრამა ამბობდა:

„მე ვიცი მეტათ საოწმუნო წყაროებიდან, რომ ხვალ დილის 10 საათზე განზრახულია გაფიცვა სენტ-ეტიენას ჩრდილო ნაწილის ლითონის დამმუშავებელ ქარხნების მეშუბისა გაფიცვებს იწვევს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პროკლამაციები. გიბრძანებთ, თქვენი პირადი ზედამხედველობის ქვეშ წინასწარ აკრძალოთ პროკლამაციების გავრცელება, რომელიც აფეთქებს ახალგაზრდა მუშების ენის და მადას. არ დააყოვნოთ წამითაც. მიიღეთ მეტათ სასწრაფო ზომები—არალეგალურ სტამბის აღმოსაჩენად ნუ დაზოგავთ საშუალებებს. გაუკეთეთ მობილიზაცია ყველა ძალებს.

ქალაქ სენტ-ეტიენას პოლიციის მთავარ სამმართველოს უფროსი **ლაფონ.**

წაიკითხა ხმამაღლა ტელეგრამა—დუკურსმა. დახედა საათს—შემდეგ დამსწრეთ. 4 საათი სრულდებოდა. აგენტები სდუმდნენ.

— მუ!—იკითხა დუკურსმა.

— რა, მუ?—გაეხმაურა მაკინო, თავმოუბრუნებლათ.

უამისოდაც აღელვებულმა დუკურსმა ცოფინივით მუჭი დაარტყა მაგიდაზე.

— აქ ცხენები ხომ არ არიან?!

მძებნელები გრძნობდნენ რა ამოცანის სამძიმეს ბეცებივით მისჩერებოდნენ იატაკს. მოხუცმა ფრანსუამ, რომელიც უმოწყალოდ ხუკავდა ნახევრად უსინათლო თვალებს—ხელზე გაკრა დუკურს—რაღაცა წასჩურჩულა. ბოლოს ბასში ჩაერია დანარჩენი აგენტებიც . . .

. . . . . .

ხუთ წუთში აგენტებმა მიიღეს სათანადო ინსტრუქციები. გავიდნენ მეორე ოთახში. სახელდახელოთ დაიწყეს გარეგანი შეხედულების გადასხვაფერება. იკეთებდნენ გრიმებს.

მაკინომ გამოსწია ქვედა ქუჩიდან წინ, ღიმილით უცქეროდა მათ სასწრაფო მზადებას. კმაყოფილებით ფიქრობდა: „ვირები!.. იჩქარიან!. დეე, შეეკითხონ!.. ხა, ხა, ხა, ხა... დღეს ის გრძნობდა, რომ შემთხვევა გაუღიმებდა. მან ყურებამდე ჩამოიწია ქუდი და ქუჩაში გამოვიდა.

მაკინო მოქმედობს.

მაკინომ გაიფშტვინა „ფოკს-ტროტ“ და ბარბაცით გასრიალდა თოვლიან ტროტუარზე. იშვიათ გამვლელებს ის თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდა. უნდოდა ამოეკითხა: ძლიერი საიდუმლოება, რომელიც მიეყვანდა მას კომკავშირის არალეგალურ სტამბამდე. მსგავსი არაფერი იყო.

უეცრად მიუახლოვდა ნაცრისფერ გალავანს, რომელიც ეკუთვნოდა თეთრ სახლს. მისი ყურადღება შეჩერდა ათეთრებულ ნიშნებზე:

2—4 ш, B—8 ш, 14—3 ш,
6—2 ш, P და C—10 ш.

მაკინოს ელვის სისწრაფით, გაუბრწყინდა ფიქრი. აი, აქ... ამ ცარცით დახაზულ ნიშნებში იმალება ძაფი არალეგალურ სტამბისაკენ. „ეშმაკმა წაიღოს, ტყვილა კი არ ლაპარაკობენ ჩემზე, რომ მე ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული“—კმაყოფილებით გაიფიქრა მაკინომ და სწრაფათ მოიხედა. ირგვლივ არავინ იყო. მხოლოდ ორი ქალი სწმენდდა თოვლს.

მაკინომ სასტვენით მოიხმო დარაჯი პოლიციელი. უამბო ძა საქმის ვითარება, დაუყენა წარწერას. თითონ კი სასწრაფოდ გაემართა პოლიციის განყოფილებაში დუკურსთან.

ყუმბარასავით შეევარდა კვბინეტში.

— მე წავაწყდი კვალს!—აღფრთოვანებით წარმოსთქვა მან.

დუკურსი აღფრთოვანებით წამოხტა. ის სრულიად არ ფიქრობდა, თუ ახალ საქმეს მცირე შრომით აღმოაჩენდა. აგრეთვე ის ცოტათ გაკვირვა: რატომ ყოველთვის ჩემი და ყველასადმი მოკრძალებული მაკინო უეცრად ასე გულახდილათ ამცნებდა თავის მიღწევას.

— სად?!. როგორ?! მივარდა დუკურსი—მაკინოს შეკითხვებით.

— გალავანზე. რაბლეს ქუჩაზე № 144—76 იქ კომკავშირელებმა დასტოვეს თავიანთი საიდუმლო ნიშნები... მაგრამ მე ვერ გამაცურებენ...

— მადლობა ღმერთს!—ამოისუნთქა დუკურსმა... მე არ მჭონდა იმედი და...

— Gidone,—განა შეიძლება ასე ლაპარაკი, როდესაც ისეთი თანამშრომელი გყავს, როგორც მე ვარ,—უკმაყოფილოთ წარმოსთქვა მაკინომ.

— ჩვენ ეხლავე „გავშიფრავთ“ იმ ნიშნებს—განაცხადა მან... დაურეკა ტელეფონით...

— ალლო! დაუყონებლივ გამოგზავნეთ სამი კაცი, მეშიფრეები—ჩრდილო განყოფილებაში... საქმე არის... როგორ?.. რა?.. ვინ ლაპარაკობს?.. მაკინო!.. მაკინო გელაპარაკებათ!.. აა!.. კარგი კარგი...

საიდუმლო შიფრი.

დილის ხუთ საათზე მოვიდნენ სამი მეშიფრეები. აქვე იყვნენ დაბარებული ყველა აგენტები, რომლებიც წავიდნენ არალეგალურ სტამბის აღმოსაჩენად. უკანასკნელნი ხიზღით უცქეროდნენ მაკინოს მხიარულ სახეს და ანგარიშობდნენ: „რამდენს მიიღებს ის საჩუქარს?“...

მეშიფრეები დიდხანს რიგრიგობით ატრიალებდნენ ქაღალდის ფურცლებს ხელში, რომელზედაც იყო გალავნიდან გადმოწერილი ნიშნები. ვერაფერი მოახერხეს.

იმის მიხედვით რაც გარბოდნენ წუთებში დუკურსი და მაკინო კარგავდნენ მოთმინების ნიშნებს.

ბოლოს მეშიფრეებმა უარი განაცხადეს ნიშნების საბოლოოთ გარჩევაზე.

დუკურსი რაკი დარწმუნდა მეშიფრეების უმოქმედებაში ზიზღით იმუქრებოდა და აჩერდებოდა საათს. შემდეგ ვერ მოითმინა და გარეკა ყველა გარეთ. დაურეკა პოლიციის მთავარ სამმართველოში—ლაფონს. მთავარს სამმართველოში გაიგეს, რომ მაკინო წაადუდა კვალს დამნაშავეთა, როგორც თითოობობდნენ კომკავშირელები, მაგრამ გაიგენ რა, რომ ეს „კვალი“ არ ემორჩილება „გაშიფრას“ ბრაზმორეულები ცეცხლს და მეხს ყრიდნენ კაბინეტში.

ლაფონ ყვიროდა ტელეფონში.

— ეშმაკმაც იცის, რა არის!.. წაიყვანეთ ათასი მეშიფრეები... იშოვეთ მილიონი ძალლები. . ამოიცანით შიფრი... თუ გაფიცვები არ აილაგმა ყოველგვარი ბრალდებები თქვენზე იქნება მოწყალეთ ხელმწიფევ... ისწრაფეთ. . ჩქარა დგება ჩვენთვის და თქვენთვისაც საბედისწერო 10 საათი... 10 საათზე მე ვიქნები თქვენთან.

დაუყონებლივ გამოიწვიეს 10 მეშიფრეები. ესენი იყვნენ ხნიერი ხალხი... გრძელი წვერულვაშებით... უმრავლესობა პენსნეებით ..

— A tout prix,—შიფრი წაკითხულ უნდა იქმნეს,—მრისხანეთ წარმოსთქვა დუკურსმა.

— კარგი!—მორჩილებით გაიხმაურა ათმა ბაგემ .

მოუთმენლად მისჩერებოდნენ ათი წყვილი თვალები და ათვალიერებდნენ ნიშნებს.

დუკურსი გაუხარევლად იჯდა სამწერლო მაგიდასთან... მაკინოს მოუთმენლობის ურუანტელი უვლიდა ტანში და იცქირებოდა ფანჯრიდან.

სარკმლის გადაღმა უკვე კრთოდა ალიონი... ქუჩებში ჩიიჩქაროდნენ მუშები, მიეშურებოდნენ ქვეით—მუშათა უბნებისაკენ.

მეშიფრეებს შუბლზე ოფლი ასკდებოდათ. ვერავის გაებედნა მყუდროების დარღვევა. ბოლოს ერთმა მათგანმა, ყველაზე უფროსმა, რომელიც ზანტად იწმენდდა ოფლი გაიხმაურა თავისთვის.

ოცდა ათი წელია ვმუშაობ ამ საქმეზე და ასეთი ეშმაკურად დაწერილი შიფრი არ მინახავს დიახ, ბავშვები!—ირონიით დაატანა მან.

ისევ გამეფდა გულშემზარავი სიჩუმე. საათი საზარლათ წკარუნებდა. უკვე 35 წუთი გავიდა. არავითარი საიმედო შედეგი არ სჩანდა.

დუკურსი მაინც ტრედოვნებდა... უცდიდნენ... ღაცდიდა მაკინოც.

ის თითქმის არ ეჭვიანობდა იმაში, რომ ეს 10 სპეციალისტ-მეშიფრეები ვერ ამოიცნობდნენ ნიშნების შინაარს.

შეუწყნარებელი ისარი საათის ციფერბლატზე უკვე უახლოვდებოდა 7. დურკუსის მოთმინება გასკდა. ის წამოხტა და როგორც ვიფხვი დაიწყო შფოთვა კაბინეტში. ისროდა განზე ყველა ნივთებს, რასაც კი წამოაყლებდა ხელს.

— ბოლოს და ბოლოს, როდის გამოიც-

ნობთ?—გაშმაგებელი მივარდა ის გაჩუმებულ მეშიფრეებს.

იგივე მოხუცი ადგა დივანიდან, გაშალა ხელები:

— ჩვენ არ ძალგვიძს... მართალია არის ზოგიერთი დაახლოვებითი ნიმუშები, მაგრამ ეს სრულიად არ უახლოვდება სინამდვილეს .. ყველას თავისებური მიხვედრა აქვს... ათნაირი მიხვედრა... სრულიად ერთი მეორეს მოწინაალმდეგე...

— არამზადებო!.. თქვენ ტყვილა გაჭმევენ პურს!.. ეშმაკმაც ნუ იცის რა არის!?. მთელი ჯოგი ხართ და არ შეგიძლიათ დასძლიოთ უმნიშვნელო საქმე!—ცხაროზდა დუკურსი.

— სინჯეთ დასძლიოთ, თუ ეს „უმნიშვნელო“ საქმეა,—ღვარძლიანათ უპასუხა ვიღაცამ ბრბოდან.

— ვშინჯავ კიდევაც! . ეშმაკმაც წაგიღოთ! —დაიღრიალა დურკუსმა და მაგრათ დაარტყა მაგიდაზე ხელი.

ჩამოგორდა სამელნე და დაიმსხვრა, იატაკი წითლათ შეიღება.

რას იზამთ, სინჯეთ. A la bonne heure!..

მოულოდნელი შედეგი.

რვა საათზე მთელი ჩრდილო ნაწილი სენტ-ეტიენასი გაკედილი იყო პოლიციით. დუკურსყველა ფეხზე დააყენა. მოტოციკლეტები და ავტომობილები უგზო უკვლოდ გარბოდნენ სხვა და სხვა მხარეზე. არც ერთმა ქალაქამ არ იცოდა რატომ აყენებდნენ ქუჩებში ასეთ უაზრო ხმაურს. რატომ დარბოდნენ ქალაქში. მხოლოდ ახსოვდა დუკერსის და ლაფონის ბრძანება, რომ ათ საათზე უნდა აღმოჩენილიყო საიდუმლო სტამბა.

თითონ დუკერსი—აღმაცერად წამოწოლილიყო დივანზე. კაბინეტში არავის არ უშვებდა. მან ყველაფერი გადაყარა მაგიდიდან. ეხლა კი მოუთმენლად ამტვრევდა მაგიდაზე უკანასკნელ ფანქარს.

ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა მას მოქმედება.

— ალლო!—ჩასძახა ხრინწიანათ ტელეფონში. ეხლავე თქვენთან შემოვა მთავარ სამმართველოს უფროსი ლაფონ.

ლაფონის სახელის გაგონებაზე დურკუსი შეირყა... გონება დაეკარგა... დაიბნა.

მალე დაბრუნდნენ აგენტები და მოახსენეს, რომ მათ ახალი ვერაფერი აღმოაჩინეს. დუკერსის თავში ყოველივე ეს ბურუსივით ირეოდა. მას თითქოს არაფერი ესმოდა.

ბოლოს მოვიდა ლაფონი. ეს იყო სრულიად ახალგაზრდა, მაღალი ტანის კაცი. განიერი, ენერგიული სახის პატრონი. ის სადღესასწაულო მუნდირში იყო. როდესაც ლაფონი მოვიდა დუკურსთან, მან მყისვე გამოარკვია საქმის მდგომარეობა. მან არაფერი უთხრა, მხოლოდ თავი გაიქნია და გრიმასები გაუკეთა.

დუკურსმა ტელეფონით გამოიწვია მაჟინო. მათ დარაზმეს პოლიციელები და მეშიფრეები, წავიდენ იმ ადგილას, სადაც გაჩნდა საიდუმლო ნიშნები.

დუკურსმა გაფანტა ხალხი, რომელიც მისჩერებოდა გალვანზე აღნიშნულ ნიშნებს. მან ბრძანა ალყა შემოერტყათ სახლისათვის.

ლაფონმა დაკვირვებით დაათვალიერა ნიშნები. ბრძანა წაეშალათ ეს უკანასკნელი.

გალავანთან მივარდა სამი კაცი, ამოიღეს ცხვირსახოცები. დაუწყეს ნიშნებს წაშლა. დუკურსი—რიგი პოლიციელებით გაემართა სახლის ალაყაფის კარებისაკენ.

აქ რაღაც დაუჯერებელი მოხდა.

კარებიდან გაძოვარდა კაცი უზარმაზარ ტყავის ქურქში გახვეული და ლანძღვა-გინებით მივარდა აგენტებს, რომლებიც შლიდნენ ნიშნებს,

— რას შვრებით?.. თქვენთვის ვიშრომე?.. ა?.. მითხარით?!.

ყველამ განცვიფრებით მიაპყრო მას თვალეები. მაჟინო მივარდა. სტაცა ხელი.

— შენ ვინა ხარ?

— მე—ამ სახლის მეეზოვე ვარ!..

— მაშ, ეს შენ დასწერე?..

— სხვას ვის უნდა დაეწერა!—უკმაყოფილით უპასუხა. ისევ ლანძღვა გინებით მივარდა პოლიციელებს და აგენტებს. ეხლა როგორ უნდა გასწმინდონ მდგურების მოსამსახურეებმა თოვლი?.. როგორ უნდა გამოარკვიონ ვინ რამდენი ნაბიჯი უნდა გასწმინდოს?!. მე ეს ამ დილით ავნიშნე გალავანზე, თქვენ ყველაფერი წაშალეთ...

— რას ნიშნავს ეს ნიშნები?—იკითხა ერთმა აგენტმა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი საქმე არ არის!..

2—4ш—ნიშნავს, იმას რომ №2—უნდა გასწმინდოს 4 ნაბიჯი. გასაგებია? აი ეს რა არის... სამწუხაროა, ძალიან, როდესაც წერ, წერ და შემდეგ კი ვიღაც პოლიციელები სრულიად დაუკითხავად შლიან ნაწერს. ამათ ხომ არაფერი დაუშავებიათ...

ცივი-ყინულიანი მზე იდგა მაღლა. სხივები თამაშობდნენ თოვლზე. ქუჩაში დარბოდნენ მეგაზეთეები:

— გაფიცვა!.. ახალი გაფიცვა!.. მუშა ახალგაზრდობა აცხადებს გაფიცვას! – ყვიროდნენ ისინი...

პ. ოდიშელი.

ორი სურათი

1\. გაზაფხულია ნაზი ნიავი
ფრთხილად შეეხო გადაშლილ ყანას,
ტოროლამ ცაში შეინავარდა
ბულბულიც შორით გასძახის ნანას.

იქ ნაკადული დაბალ ბუჩქნარში
წყნარად რაკრაკობს მთის გამოცანას,
ყაყაჩომც ნორჩად თავი დაჰხარა
ტურფა ბულბულიც უმღერის ყანას.

აგერ მზეც გვიცქერს მკვეთრი სხივებით
ქვეყნად მოჰფინა მცხუნვარე თვალი,
მის ლალ სხივებზე თოხი პრიალებს
ყანას, რომ მარგლის მშრომელი ქალი.

დაჰკა ეს თოხი მშვენიერებავ!
დღეს შენ გეკუთვნის მინდორი, ველი,
მოსპე ეკალი, მოჰკვეთე ნარი,
შეჰქმენი შენთვის დღე სასურველი.

თავისუფალი შრომით იპოვნი
მომავლის იმედს, ბედნიერებას,
და შენი შრომა, შრომა უკვდავი
ნათლით შეამკობს ქვეყნიერებას!

* * *

2\. მორჩა საყვირი და ქარხანაში
მანქანის ბორბლებს გააქვს ტრიალი,
და დაზგის კუთხეს სწრაფად მიუჯდა
ტურფა, კეკლუცი მაშვრალი ქალი.

მისი სატრფოა შრომა, ოფლის ღვრა
ედემის ბაღი—დიდი მანქანა,
შრომობს მუშებთან რომ ინახულოს
შრომის სუფევის ნანატრი ხანა!

მუშა ვ. როინიშვილი.

ტერორი

დრამა 5 მოქმედებათ

მოქმედება პირველი

(სცენა წარმოადგენს მკერვალის სახელოსნოს. ორი მაგიდა სდგას მარჯვნივ და მარცხნივ. ერთ მაგიდაზე მკერვალი მუშაობს. და მეორეზე კი შეგირდი. უთოს აცხელებს. კედელზე რამდენიმე შეკერილი ტანთსაცმელებია).

გამოსვლა პირველი

გაბრო და დათა.

გაბრო. (გაბრაზებული) ტფუი, დაიწყევლოს ამისთანა საქმე, დღე და ღამე ნემსი ხელში გიჭირავს და არაფერი კი არ გამოდის. არა, ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, რა არის ჩვენი ხელობა?! სანამ თვალი მიჭრის კიდევ არაუშავს რა, ერთ ორ შაურს ვშოულობ და როცა დავბერდები მაშინ ხომ სიმშილით სული უნდა ამომხდეს?!.

დათა მაგაზე ფიქრი სულ მეტია ოსტატო.

გაბრო. როგორ?

დათა. როგორ და ისე, როდესაც თქვენ დაბერდებით. მე შეგინახავ.

გაბრო. კარგ იმედს იძლევი შენმა მზემ. არა, შე სულელო, რომელი შეგირდს შეუნახია თავისი ოსტატი. რომ შენ შემინახო?

დათა. თქვენ დამცინით, მაგრამ მე კი მართალს მოგახსენებთ.

გაბრო. (შეტევით) კარგი ერთი მაგ სისულელეს თავი დაანებე. და უთო დროზე მომამზადე. საცაა ამის პატრონიც მოვა.

დათა. უთო მზათ გახლავს.

გამოსვლა მეორე

იგინივე და ალექსი.

ალექსი. (შემოსვლისთანავე) გაბროს გაუმარჯოს!..

გაბრო. გაგიმარჯოს, დაბრძანდით.

ალექსი. არა მიშავს რა (მივა გაბროსთან) იცი რა გითხრა გაბრო, დღეს ჩვენ აქ კრება გვაქვს დანიშნული და საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება?!.

გაბრო. აბა რას ამბობ ალექსი. პირველათ ხომ არ არის თქვენი აქ მოსვლა და კრების მოწყობა...

ალექსი გმადლობთ, ჩემო გაბრო! თანაგრძნობისათვის და იმედი მაქვს, რომ ჩვენი პარტია მადლობას გადაგიხდის. (გარედან ფეხის ხმა მოისმის) მგონი მოდიან კიდეც!

გამოსვლა მესამე

ნიკო, კოლია, შაქრო, ილიკო.

ერთად. გამარჯობათ, გამარჯობათ!

გაბრო. გაგიმარჯოთ! დაბრძანდით. (ბიჭს) ბიჭო, სკამები მოიტა.

ალექსი. რათ დაიგვიანეთ?! რამდენი ხანია მე აქ გიცდით.

ილიკო. ყოველთვის ჩვენ გიცდით და ერთხელ, რომ შენ დაგვიცადო რა გიშავს?

ალექსი. ეს ყოველივე კარგი, მაგრამ სხვა ამხანაგები რაღა იქნენ?

კოლია. საცაა ისინიც მოვლენ:

ილიკო. (მივა გაბროსთან) გაბრო! სთქვი და კაცო, როგორ არის შენი საქმე სამუშაო ბევრი გაქვს თუ არა?

გაბრო. ეჰ, რა უნდა გითხრა ძმაო. დღე და ღამე ამ ოხერ ნემს ვებრძვი. მაგრამ არაფერი არ გამოდის.

შაქრო. ფიქრი ნუ გაქვს გაბრო, ყველაფერი გასწორდება...

გაბრო. მანამ პეტრე მოვიდა—პავლეს ტყავი გააძრესო... წელანდელი ჩემი ბიჭისა არ იყოს, როცა დაბერდები მე შეგინახამო. (ყველანი იცინიან).

გამოსვლა მეოთხე

ვასილი და ვანო.

ერთად. გამარჯობათ!..

ყველამ. გაგიმარჯოთ!

ვასილი. რა ამბავია. რა ნახეთ რომ ეგრე გულიანათ იცინით.

ალექსი. ამხანაგებო. ლაპარაკის დროს არ არის, დროა საქმეს შეუდგეთ, კრება გავხსნათ.

ყველანი. გავხსნათ. (ყველანი სხდებიან).

ალექსი. ამხანაგებო ვიდრე კრებას გავხსნიდეთ. მე საჭიროთ მიმაჩნია, რომ დროებით თავჯდომარე ამოვირჩიოთ.

ყველანი. ამოვირჩიოთ.

ალექსი. ამხანაგებო დაასახელეთ კანდიდატი, მე ვასახელებ ამხანაგ ნიკოს.

ნიკო. მე ალექსის.

კოლია. ამხანაგებო, მე მგონია საკმარისია, აბა კენჭი უყაროთ!

ალექსი. ვინაა მომხრე ნიკოსი, გთხოვთ ხალი ასწიეთ! (ერთ ხმად სწევენ ხელს. ნიკოს) გთხოვთ დაიკავოთ თქვენი ადგილი.

ნიკო. ამხანაგებო გძადლობთ ნდობისათვის, კრება გახსნილია. და გთხოვთ კითხვები დაასახელოთ წესრიგისათვის.

ალექსი. ამხანაგებო! პირველ-ყოვლისა საჭიროთ მიმაჩნია, რომ პირველად წეს—რიგში დავსვათ საკითხი ჩვენი დაპატიმრებული ამხანაგების შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული (ჯდება).

ნიკო. (წამოდგება) მართლაც, რომ ამხანაგებო, ძალიან ფრიად საყურადღებო კითხვა არის ეგა და მე საჭიროთ მიმაჩნია, რომ პირველ ყოვლისა ამაზე ვიმსჯელოთ. მე მგონია არავინ თქვენგანი წინაღმდეგი არ იქნება გთხოვთ ჩაეწერეთ სიტყვისათვის.

ალექსი. მე ჩამწერეთ.

კოლია. მეც ჩამწერეთ (ნიკო სწერს).

ნიკო. სხვა, ვის უნდა სიტყვა? (გადახედავს ყველას) როგორც ვხედავ აღარავის. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ალექსის.

ალექსი. (წამოდგება) ამხანაგებო! მე მინდა მოგაგონოთ ჩვენი ზოგიერთი ამხანაგების წარსული მუშაობა ამხანაგებო! თქვენ კარგათ გახსოვთ ამ რამდენიმე თვის წინათ თუ, როგორ გვდევნიდნენ ჩვენ და რასაკვირველია, თქვენც კარგათ იცით თუ ჩვენმა პარტიამ რა ზომები მიიღო იმის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ— და სამწუხაროთ—ზოგიერომა ჩვენმა ამხანაგებმა თავიანთი მოვალეობა სისრულეში არ მოიყვანეს. ჩვენ კარგათ გვახსოვს რომ ამ რამოდენიმე თვის წინათ იყვნენ დანიშნული ტერორად ნიკო და კოლა. მე მგონია თავიანთი მოვალეობა კარგათ იცოდნენ და ამაზედ ლაპარაკი ზედ მეტია, რასაკვირველია ზომები მიიღეს! დასჭრეს ანეტა ლუცკიხი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ის გადაურჩა იმ ქრილობას. და უფრო სასტიკი ზომები მიიღო. რამდენიმე ამხანაგები დააჭერინა. ჩქარა ჩვენ თავსაც დააჭერიხებს, თუ არაფერი ზომები არ მივიღეთ. მე გთხოვთ რომ ამაზედ გვემსჯელა. გავათავე. (ჯდება).

ნიკო. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ კოლიას.

კოლია. (წარმოდგება) ამხანაგებო! მართალია მე და ნიკო ვიყავით დანიშნული ტერორათ ანეტა ლუცკინის მოსაკვლელად და მე მგონია, რომ თქვენც კარგათ გახსოვთ თუ ჩვენ რა ზომები მივიღეთ იმის წინააღმდეგ, მაგრამ მე მინდა აღვნიშნო თქვენ და საყურადღებოთ: ჩვენმა შრომამ სულ ფუჭად ჩაიარა. მართალია ჩვენ ის დავჭერით, რითაც საქმე უცრო გავამწვავეთ. რასაკვირველია ჩვენ წარსულის მოგონება აღარას გვიშველის, მე გთხოვთ, რომ ამაზე კამათი შევწყვიტოთ და წინადადებები შემოვიტანოთ თუ რა ზომები მივიღოთ ლუცკინის წინაღმდეგ (ჯდება).

ნიკო. (წამოდგება) ამხანაგებო! ვიდრე კამათს შევწყვიტავდეთ ნება მომეცით ერთიორი სიტყვა ვსთქვა.

ყველანი. სთქვით.

ნიკო. ამხანაგებო! ჩვენ წარსულ საქმეს თავი დავანებოთ აწმყოზე ვილაპარაკოთ. საჭიროა ამხანაგებო, ჩვენ მკაცრი ზომები მივიღოთ ჩვენი ამხანაგების სახსნელათ. მითქვამს და ვიტყვი კიდეც, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ტერორია. (ყველანი ტაშს უკრავენ თავმჯდომარის გარდა). სხვა მხრივ ჩვენ ვერას გავაწყობთ. მე გავათავე და გთხოვთ წინადადები შემოიტანეთ (დაჯდება).

ალექსი. წინადადება (თავმჯდომარეს).

ნიკო. თქვით.

ალექსი. (წამოდგება) მე წინადადება შემომაქვს ამ კრებაზე ამოვირჩიოთ ორი ან სამი ამხანაგი, რომლებმაც უნდა მოჰკლან ანეტა ლუცკინი. შემდეგ ადვილი შესაძლებელია რომ ამხანაგებიც გავანთავისუფლობინოთ საპყრობილიდან.

ნიკო. (წამოდგება) სხვა კიდევ ვის აქვს წინადადება? (გადახედავს ამხანაგებს). როგორც ვხედავ სხვა წინადადება არ არის. მე ამ წინადადებას კენჭს უყრი. ვინაა მომხრე ამ წინადადების გთხოვთ ხელი ასწიოთ (ყველანი სწევენ) ერთ ხმათ. (სწერს) ეხლა დაასახელეთ კანდიდატები.

ალექსი. ნიკო.

ნიკო. კარგი. (სწერს) სხვა კიდევ?

შაქრო. ალექსი.

ნიკო. კარგი. (სწერს) კიდევ?

ვანო. კოლია.

ნიკო. კარგი. (სწერს) მე მგონია საკმარისია, უკვე სამი ამხანაგია დასახელებული (კითხულობს) ნიკო, ალექსი და კოლია, მე ერთი შეკითხვა მაქვს, არჩევნები როგორ მოვახდინოთ?

ილიკო. (თავმჯდომარეს) სიტყვა მომეცით!

ნიკო. სთქვით.

ილიკო. რადგან სამი კანდიდატია დასახელებული სამივე ერთხმად გავიყვანოთ. (ტაში).

ზოგი-ერთნი. სამივე, სამივე.

ნიკო. მაშ კენჭს ვუყრი. ვინაა მომხრე სამივე დარჩნენ? (ყველანი სწევენ ხელს) მაშასადამე სამივე ერთხმად არიან არჩეულნი. (ტაში) ეხლა ამხანაგებო, ჩვენ შეუდგეთ წესრიგის შემუშავებას, თუ როგორ მოვაწყოთ საქმე! (კარის რახუნი ისმის).

გაბრო. დაიცადეთ, ვნახო ვინ არის. თქვენ დაიმალენით. (ყველანი იმლებიან, გაბრო კარს აღებს, გამაჩნდეაა ანეტა ლუცკინი).

ანეტა. (გარედან) შეიძლება?

გაბრო. მობრძანდით (ანეტა შემოდის).

გამოსვლა მეხუთე

იგინივე და ანეტა.

ანეტა. ჩემი ქმრის შარვალი მზათ არის? (ყველას გადახედავს).

გაბრო. ერთი საათის შემდეგ მზათ იქნება.

ანეტა. ძალიან კარგი. მაშ ერთი საათის შემდეგ მოვალ. მალე ხომ არ დაჰკეტავთ?

გაბრო. არა, დღეს გვიან ვკეტავთ. რადგანაც მე დღეს სადილი მაქვს და ეს ამხანაგებიც ჩემი სტუმრები არიან.

ანეტა. მაშ კარგი, მოვალ. (იქით) რა კარგი დრო მაქვს, ყველას ერთად დავაჭერინებ! ნახვამდის. (გადის და თან ყველას ღიმად უცქერის).

გაბრო. (ამხანაგებს) აბა, დაიმალენით, თორემ მალე მოვა და ვაი თუ რამე მოხდეს?!

ნიკო. ნუ გეშინიან ჩემო გაბრო, მაგას მალე მოუღებთ ბოლოს.

ალექსი. ამხანაგებო, წავიდეთ, ვაი თუ თავს დაგვესხან? სუყველას დაგვიჭერენ. წავიდეთ სადმე სხვაგან მოვილაპარაკოთ.

ყველანი. წავიდეთ... წავიდეთ!

ნიკო. ამხანაგებო! ჩუმად გადით, რომ არაფერი არ შეგვამჩნიონ (ორ-ორი გადიან).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე.

(სცენა წარმოადგენს ანეტა ლუცკინის სახლს; მდიდრულად მორთულს. ფარდის ახდის დროს სცენაზედ მაგიდასთან სხედან აკალოდიჩნიკი და გარადავოი).

გამოსვლა პირველი.

აკალოდიჩნიკი და გარადავოი.

აკალოდ. როგორ გგონია ვასილი, ჩვენს მიზანს მივაღწევთ თუ არა?

ვასილი. მე მგონია ბ-ნო რომ მივაღწევთ. რადგანაც ანეტა ლუცკინი კარგად მუშაობს. ორი ხომ დავაპატიმრეთ მისი წყალობით.

აკალოდ. მართლაც, შენი თქმისა არ იყოს, ანეტა ძალიან კარგად მუშაობს. თურმე ყველა მეთაურებს სცნობს. მე კიდევ ის მიკვირს რომ თავის ქმარი არ უშლის ამნაირ მოქმედებას. იცი ვასილი, ესენი ძალიან მდიდრები არიან, ეს სახლები მაგათია.

ვასილი ანეტას რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ ქმარი მიშლისო, მაგრამ ვიდრე სუყველას არ დავაჭერინებო არ დივიშლი ამ საქმესაო.

აკალოდ. მართლაც რომ კარგი გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამნაირ საქმეს სჩადის. ხუმრობა ხომ არ არის? ერთხელ ხომ დასჭრეს ანეტა. იცოდე ვასილი, რომ მეორეთ უეჭველად მოჰკლავენ.

ვასილი. მოჰკლავენ და ჯანდაბას იქით გზა ჰქონია, ჩვენ რა? ჩვენი არც დედა არის და არც და, რომ შევწუხდეთ!

აკალოდ. ეგეც კი მართალია, მაგრამ ამდენ ხანს რად დაიგვიანა?

ვასილი. შეიძლება ბაზარში წასულა სავაჭროდ.

აკალოდ. შეიძლება ეგრეც იყოს, ცოტა ხანიც მოუცადოთ.

ვასილი ბ ნი ბრძანდებით, მოუცადოთ. (ფეხის ხმა ისმის) ბ-ნო, მგონია ვიღაცა მოდის.

გამოსვლა მეორე

იგინივე და ანეტა.

ანეტა. ჰაა... გამარჯობა! (ხელს ჩამოართმევს) თქვენ აქა ყოფილხართ და მე კი „უჩასკაში გეძებდით!

აკალოდ ჩვენ რამდენი ხანია აქ გიცდით.

ანეტა. მართლა? მე სულელი კი იქ გეძებდით.

აკალოდ. რა ამბავია? უთუოდ კარგი ამბავი იქნება რამე!

ანეტა. ჯერ ერთი ეს მითხარით, მე რომ დაგაჭერინეთ ის ორი კაცი რაუყავით?

აკალოდ რა უყავით და საპყრობილეში სხედან.

ანეტა. მაშ კარგი, შენ მე ეხლა ყური დამიგდე, დაბრძანდით (ორივენი სხდებიან). იცით, რა გითხრათ? მე ეხლა ვიყავი ჩემი სახლის ქვეშ რომ მკერვალია მასთან და წარმოიდგინეთ, რომ მთელი ის „შაიკა“ თქვენ რომ დასაჭერად ეძებთ იქ იყვნენ თავმოყრილნი, კრება გაემართად. მე შევედი თუ არა, ყველანი ფეხზე წამოდგნენ. მე მაშინვე წამოვედი შენთან „უჩასკაში“. შენ კი აქა ჰყოფილხარ. აბა, ახლა შენ იცი, როგორც მოიქცევი.

აკალოდ ეს ყოველივე კარგი. მაგრამ შენ ერთი ეს მითხარი, თუ შეამჩნიე იმათ იარაღი ჰქონდათ თუ არა?

ანეტა. იარაღი არა აქვთ. სუყველა უიარაღოა, ნულარ იგვიანებთ, წადით მალე, თორემ დაიმლებიან. (ღიმილით) თუ ეგენიც დავიჭერეთ მაშინ აღარა გვიშავს რა. სუყველას ბოლო მოეღება და მაშინ მეც მოვისვენებ!..

აკალოდ. ქ-ნო ანეტა, თქვენ ისეთ ყურადღებას იმსახურებთ ჩვენს მთავრობასთან, რომ ღირსეულათ დაგაჯილდოვებენ.

ანეტა. ჯერ ჩვენ ეგენი შევბოჭოთ, მერე ჩვენ ვიცით როგორ ჯილდოსაც მივიღებთ!

თუმცა ჩემი ქმარი ბევრს მიშლის და მეჩხუბება, მაგრამ ვიდრე მაგათ ყველას არ დავიჭერთ მე ამ საქმეს თავს არ დავანებებ!..

აკალოდ. (სიცილით) ბრავო ანეტა! მე იმედი მაქვს, რომ ყველას შავბოჰავთ შენის წყალობით!..

ანეტა. კარგი. წადი, თორემ დაიგვიანებთ.

აკალოდ მშვიდობით ბრძანდებოდეთ (ხელს ართმევს და გამოდის)

ანეტა. (თვალს გააყოლებს) წადით ჩემო დეე—გმირნო, შეჰბოჭეთ ჩემი მტანჯველი (გამობრუნდება) ეხლა კი ბოლო მოეღებათ მუშების გმირებს. არა, მაგ უბედურებს რა ეგონათ. მე რომ დამჭრეს განა ამისათვის სიკეთეს დავაყრიდი? (ირონიით იცინის) ხა... ხა... ხა... ხა...

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მესამე.

(სცენა წარმოადგენს ქუჩას. სცენის მარჯვენა მხარეს ანეტ.ს სახლია. სახლის მოშორებით მარცხენა მხარეს ღვინის დუქანი. დუქნის წინ სდგას ერთი მაგიდა და ორი სკამი. მაგიდასთან სხედან ვასილი და პავლე ღვინო', სვამენ).

გამოსვლა პირველი

ვასილი და **პავლე**.

ვასილი. (ჭიქას იღებს) იცოცხლე პავლე! (სვამს)

პავლე. (ჭიქას იღებს) გმადლობთ სადღეგრძელოსათვის. (სვამს).

ვასილი. პავლე, იცი რა გითხრა? ის ავაზაკები გუშინ, რომ დაგვეჭირა, წარმოიდგინე შეხა რომ კარგს საჩუქარს მივიღებდი.

პავლე. ვასილ მაგნაირ ბოროტ საქმეს რომ თავს გაანებებდე უფრო კარგს იზამ.

ვასილი. როგორ თუ თავს გავანებებდე. (იარაღს ამოიღებს) მაშ ამ იარაღს ტყუილათ ვატარებ? (დაუმიზნებს რევოლვერს) აი, ესე რომ დაუმიზნებ და მოხვდება ტყვია გულში, მაშინვე ძირს დავარდება (პავლეს შეეშინდება) შენც, შეგეშინდა განა?

პავლე. თუ ძმა ხარ, მაგნაირ ხუმრობას თავი გაანებე. ერთბაშათ რომ გავარდეს და მომხვდეს მერე რაღა ვქნა?

ვასილი. როგორც გატყობ სიკვდილისა ძალიან გეშინიან? (რევოლვეერს კიდევ უმიზნებას) მაშ მოკვდი!

პაკლე. (წამოხტება) მშვიდობით, მე მივდივარ...

ვასილი. ხა., ხა., ხა., (იცინის) დაჯექი შე სულელო, გეხუმრები (რევოლვერს მაგიდაზე დასდებს).

პავლე. მე ეგეთი ხუმრობა არ მიყვარს.

ვასილი. კარგი ამ ხუმრობას თავი დავანებოთ და ღვინო დავლიოთ. შეხ ღვინო დაასხი და მე ეხლავე მოვალ. (დუქანში შედის)

პავლე. ძლივს არ მომშორდა! (რევოლვერს ნახავს მაგიდაზე) რევოლვერიც აქ დარჩენია. ეხლა მე ამას რა მოუხეოხო? (დაფიქრდება) ეს კარგი აზრი მომივიდა. ქლიბიც. ხომ ჯიბეში მაქვს, მეც ავიღებ და „ბპილკას". გაუქლიბავ, მერე რაძღეხიც უნდა მიმიზნოს ხომ აღარ გავარდება, (აიღებს რევოლვერს, გაჭქლიბავს და დასდებს მაგიდაზე) აი, ეხლაც ძოდი და დამიზნე და შემაშიხე! ეხლა ღვინოს არხეინათ დავლევ. მგონი ისიც მოდის, კარგ დროს გავათავე. (ღვინოს სვამს).

გამოსვლა მეორე

იგინივე და **ვასილი**.

ვასილი. (ნახავს რომ, პავლე ღვინოს სვამს) როგორ, შენ უჩემოდ სვამ ღვინოს?! მაშ შენ ჩემი რევოლვერისა არ გეშინიან?! (დაუმიზნებს და პავლე არხეინად უცქერის) ეხლავე მოგკლავ!

პავლე. კარგი ერთი, თუ მამიშენის სული გიყვარს. თუ მკლავ ბარემ მომკალი რაღა!

ვასილი. არა ჩემო პავლე, მე შენზე ტყვიას არ გავაფუჭებ, იცი რა გითხრა, ეს თითო ჭიქაც დავლიოთ და წავიდეთ, ხომ თანახმა ხარ?

პავლე. როგორც გინდა, ჩემთვის სულ ერთია.

ვასილი. კარგი მაშ ეს თითოც დავლიოთ და წავიდეთ! (ჭიქას იღებს) ვიცოცხლოთ ბედნიერათ! (ორივენი სვამენ)

გაიოსვლა მესამე

გოროდოვი (თოფით).

ვასილი. გარადოვოის დაინახავს) მაქსიმე, მოდი აქ, შენ როგორც გატყობთ არაყი გინდა არა?

მაქსიმე. ჰო... არაყი სჯობს. ჩემთვის ღვინოსა.

ვასილი. მაშ შეეიდეთ დუქანში და თითო ჭიქა გადავკრათ (პავლეს) პავლე, შენც დალევ თუ არა?

პავლე. არა, არმინდა, მე წავალ.

ვასილი თუ მიდიხარ და წადი (მაქსიმეს) ჩვენ წავიდეთ, დავლიოთ. (ორივენი შედიან დუქანში, პავლე გადის. სცენა ცარიელია)

გამოსვლა მეოთხე

ალექსი და **კოლია**.

ალექსი. (შემოდიან შეიარაღებულნი და აქეთ იქით იცქირებიან) აქ არავინ არ არის. სადმე ჩაუსაფრდეთ. სახლიდან გამოვა თუ არა მაშინვე ვესროლოთ. ამა კოლია, შენ იცი ყოჩაღად იყავი. მე პირველად ვესვრი თუ ვერ ვოვკალი, მაშინ შენ იცი. თან ფრთხილად იყავი, არ დაგვაჭირონ!..

კოლია. შენ ნუ გეშინია, მე ვიცი როგორც მოვიქცევი.

ალექსი. მაშ კარგი მე აქეთ დავიმალები და შენც იქით. (ფეხის ხმა) აი ვიღაცა მოდის, ქოვეფაროთ. მშვიდობით! გედეხვეე-ან ერთმანეთს).

კოლია. მშვიდობით! (ორივენი მიიმალებიან)

გამოსვლა მეხუთე

გიორგი, ანეტა და **მეეზოვე**.

ანეტა. (გამოდის სახლიდან წინ მიდის, მეეზოვე კალათით და ჯოხით, უკან მისდევს) პრავეზიას ვიყიდი და შენ შინ წამოიღებ, მე კი „უჩასკაში" წავალ საქმე მაქვს. (გიორგი ანეტას ქუდს მოუხდის (გაგიმარჯოს შვილო, როგორა ხარ?

გიორგი. არა მიშავს ქ-ნო! თქვენ როგორ ბრძანდებით.

ანეტა. მადლობა ღმერთს, ჩემი საქმე კარგათ არის (წასვლას დააპირებს).

ალექსი. (გამოჩნდება და ესვრის) მოკვდი შე ძაღლო შენა! (შემოვარდება კოლია, მეეზოვეს თვალებს შეუკრავს და დააგდებს ძირს).

გიორგი. წავიდე ჩქარა პოლიციას შევატყობინო! (შედის დუქანში).

ალექსი. (ანუტას დასცქერის, მერე ყელში წაუჭერს ხელს). შე ძაღლო, ძაღლურად მოკვდი!

ანეტა. მი... შ... (კვდება).

ალექსი. (კოლიას) მოკვდა, შენ ეხლა გაიქეცი, მეც გამოგყვები... (ალექსი ადგება, გაქცევას დააპირებს. შეეჩეხება ჯარის კაცს და ხელს მოხვევს.

ჯარის კაცი. ტი კუდა, რაზაონიკ?!

ალექსი. (რევოლვერს ესვრის) შენც მოკვდი, შე მხეკო შენა.

ჯარის კაცი. ოი... ბოეე.. (დაჭრილი ეცემა ძირს).

ალექსი (რევოლვერს შინჯავს) ტყვია. აღარ არის. შიგ ჩავაწყო. ჩქარა. (ჩააწყობს ტყვიას).

გამოსვლა მეექვსე

გიორგი და **ორი გარადავი**.

გიორგი. (გარადოვებს) აი, ამან მოკლა ანეტა! (ჩუმათ ეუბნება) ვასილი რევოლვერს დაუმიზნებს და არ ვარდება ტყვია. თავისთავად ცხარობს, მეორე გარადავი ესვრის და თვალში მოარტყამს ალექსის)

ალექსი. (დაიყვირებს) ვაი თვალი!. (წაიქცევა და რევოლვერს ისვრის. გარადავოები მისცვივდებიან, რევოლვერს წართმევენ და წიხლით სცემენ).

ვასილი. მოკვდი შე ძაღლო..

ალექსი. ვაი, მიშველეთ თვალი!.. სცემენ და თრით ათრევენ. გაჰყავთ. ფარდა დაეშვება.

ფ ა რ დ ა

მუშა გ. მჭედლიშვილი.

ხალამი

ხელი გაქვს კოკრით გადაღარული
და დასერილი ნაირ ზოლებით,
გქონდა სიცოცხლე გაუხარელი—
შემოჯაჭვული რკინის რგოლებით.

რამდენი ომი გამოგივლია
შენ წითელ დროშის მაღლა ტარებით;
მაინც არ შეწყდა, არ დაილია,
ბრძოლის ველზე სჩანს მინოტავრები.

გაღეღილია მებრძოლი მკერდი
და ძოდის ომის გამართულ დოღში,
რა ნობათია, რა უკეთ ხვედრი
გმირი მედროშე, გაზრდილი ქოხში.

არის ამბავი იქ მთას გადაღმა
შენი მეგობრის ოხვრა ვარამის,
შენ მკლავ მაგარი იქაც გადახვალ,
სადაც შენ მოძმეს უდგას კარავი.

გადაიელვებს მაღალ ალპებზე
ჭეშა-ქუხილი ჩვენი მაყარის,
ბ როგორც გრდემლზე რკინა დალბება
დღეს არეული მთელი სამყარო.

არის ჭიდილი უზენაესი
და გადახლართვა ომის ფერხულის,
ღრუბლებში წითლად მოსჩანს გაისი,
ამოვარდნილი ვით ქარ-ტეხილი—

და როგორც რეკა ბრძოლის საყვირის,
ისე მოისმის შორით ქუხილი,
რაშმა გასწყიტა რკინის აღვირი
და შექმნა მტერთა გულის წუხილი.

მძლეევი ყიჟინი ისმის ბრძოლაში
და ძოდის გმირთა აჩრდილი ღელვით,
წითლად შეღება აისმა რაში,
რაში ახსნილი მებრძოლი ხელით

ღამე გაშლილა გასავლელ გზაზე
და ქარავანი მოსჩანს მგზავრების,
ციხეს კარი აქეს გადანარაზი,
შიგ ბინადრობენ მინოტავრები.

არის ჭიდილი უზენაესი,
მუზარადებით ომის ფერხული,
ღრუბლებში წითლად ბრწყინავს გაისი,
ამოვარდნილი ვით ქარტეხილი!..

ალ. მაღულარია.

ცოტა რამ პირველი გაფიცვის შესახებ თბილისის სტამბებში

(1898—1907 წ.)

პირველად მუშათა გაფიცვა ტფილისში დაიწყო მ. ქსიმე შარაძის სტამბაში; ეს სტამბა ეკუთვნოდა ბერებს, რომლებიც სცემდენ სხვა და სხვა „წმინდანების“ წიგნაკებს და ხალხში ავრცელებდენ; აქ იბეჭდებოდა გაზეთი „ივერიაც“. აუტანელ პირობებში იყო გაზეთზე მუშაობა; ხშირად მუშები 18 საათსაც კი მუშაობდნენ. ამ აუტანელმა მუშაობის პირობებმა გამოიწვია გაზეთ „ივერია“-ზე გაფიცვა 1898-1899 წლებში, რამაც ორი კვირა გასტანა.

ამ გაფიცვას მაშინ ხელმძღვანელობდენ გარედან ერასტო ჩანტლაძე, ვლასა მგელაძე და ვალერა ბილანიშვილი. იმ ხანებში მათი მეთაურობით ტფილისში აქა იქ იმართებოდა მუშათა წრე. ამ წრეში დადიოდენ ისეთი ამხანაგები, როგორც სოსო ჯუღაშვილი, სევერიან ჯუღელი და სხვ.

ერთი ასეთი წრე შარაძის სტამბაში მუშებისათვის მოწყობილი იყო არსენალის ქუჩაზე ყაზარა მეარყიშვილის სახლებში, სადაც მას მაშინ პატარა საწვრთმალო დუქანი ჰქონდა. მის სახლებშიაც იმ დროს ბლოძათ ცხოვრობდენ შარაძის სტამბის მუშები; აქ იხახებოდა, სხვათა შორის, შარაძის სტამბაში აწყობილი შრიფტი, რომ მისგან შიხაური საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო საჭიროების დროს მისი ბეჭდვა. ბაგალითად, იყო შემთხვევა, როცა აწყობილი პროკლამაცია აქ იბეჭდებოდა, თუმცა ცუდათ, მაგრამ მაინც გამოდიოდა საღებავით გასვრილი. ეს ხდებოდა ბაბლომე ზვიადაძის ოთახში, ძას ამაში ეხმარებოდა ერასტო ჩანტლაძე.

ამ სახლებში ხშირად დაიარებოდა სოსო ჯუღაშვილი, რომელიც პროპაგანდას უწევდა უპირესად მარტო სტამბის მომუშავებს. ძას ძოჭყავდა მდაბიო და ჩვენთვის გასაგებ ენაზე ბაშინდელი გერმანიის მუშების ეკონომიური მდგომაოეობა; ის ეხებოდა გერმანიის მუშათა კლასიურად დარაზმვას და სოც.-დემ. მაშინდელ ხელმძღვანელობას.

კარგად მახსოვს, როცა ს. ჯუღაშვილი შეეხო გეოძახიის რკინის გზის გახვითარებას და მოიყვანა მაგალითი ბერლინის შესახებ, რომლის მიდამო რკინის გზის ქსელით არის დახლართულია.

ასეთი წრეები ხშირად იმართებოდა ტფილისის სხვადასხვა რაიონებში, სადაც დაიარებოდენ მოწიხავე ინტელიგენტები და მუშებში შეგნენა შეჭაონდათ. ეს იყო 1898—1899 წლები.

ამ წრეების საშუალებით მუშებიც იწაფებოდენ და ეიზადებოდენ ბომავალ ბოძოლისათვის. ამის ზეგავლენით ძოხდა გაზ. „ივერია“-ზე გაფიცვა, რომელიც ბაშინ გაუგებარი იყო ქართველი მოღვაწეებისათვის. ამ გაფიცვამ ძლიერ გააბრაზა ილია ჭავჭავაძე, როგორც ქართველ თავად-აზნაურთა ადეოლოგი; მან ვეღარ ძოითშინა მუშების ასეთი „თავხედობა“ და პოლიციას მიმართა, რომ მას ზოგები მიეღო „ურჩების მოსაჭკვიანებლად“. „ივერიის“ ოედაქციაში იმ დროს და შეძდეგაც ძდივნის თანამდებობას ასრულებდა �ტემ ანნაზაროვი, რომელიც სრულის ხდომით იყო აღშურვილი ი. ჭავჭავაძის ძიერ. აი ამ ბარტ. ანნაზაროვმა შეადგინა განცხადება და მიმართა პოლიციას მუშეების დასაძორჩილებლად, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი, და „ივერიის“ ასოთ-ამწყობები პოლიციაში დაიჭიოეს. როგორც ფაქტი, ეს უნდა აღინიშნოს ა. ანნაზაროვის წარსული „მოღვაწეობიდან“. აქ საკვირველია ერთი რამ. ი. ჭავჭავაძეს საზოგადოთ სომხის ერი ძულდა, ძაგოაძ, როგორ ეობდა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით და ნდობით უყურებდა ა. ანნაზაროვს, როგორც სომეხს, და მთელი რედაქციაც მის სრულ განკარგულებაში იყო იმ ხანებში, ეს რაღაც გაუგებრობას იწვევს...

შემდეგ ტფილისის სტამბებში გაფიცვებმა ხშირი ხასიათი მიიღო. ერთი ასეთი გაფიცვა ქართველთა ამხანაგობის სტამბაში მოხდა დიდი ვანქის ქუჩაზე 1901 წელს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვანო ბოლქვაძე, ვ. ბილანიშვილი, ერასტო ჩანტლაძე და სხვ.

ეს გაფიცვა ეკონომიური მოთხოვნილებით დაიწყო და პოლიციმეისტერთანაც კი წავიდენ მუშები, რომ საქმე ბმშვიდობიანად დამთავრებულიყო. მუშები ითხოვდენ 9 საათის სამუშაო დღეს, 11-ის მაგივრად, რაც მოიგეს კიდეც.

ამ სტამბას განაგებდა ალ. ჯაბადარი; ის „ქართველ მოღვაწედ“ ითვლებოდა და ამ ბოეწონა თავისი სტამბის მუშათა გაფიცვა; მას სირცხვილად მიაჩნდა განსაკუთრებით ქართველი მუშის გაფიცვა; ამას ის სთვლიდა „ღალატად“ ქართველი ხაზეინების წინაშე.

მას კვერს უკრავდა მისი სტამბის უფროსი ასოთ-ამწყობი დიომიდე კილაძე და ყოველივე ზომას ხმარობდა ქართველი ასოთ-ამწყობების მიმართ, რომ ისიხი არ აყოლოდენ „ბუნტოვშჩიკებს“. თითო-ოროლას მეტი მას ყუოადღებას არავინ აქცევდა.

დიომიდე კილაძე დაბეზღებასაც არ თაკილობდა და ხშირად ჯაბადარს უთითებდა ამა თუ იმ მუშაზე, რომელსაც ის ამოიჩემებდა.

ერთ ასოთ-ამწყობს ვანო ბოლქვაძეს დაავალა ასოების გამოტანა სტამბიდან საიდუმლო სტამბისთვის 1901 წელს. ეს მუშა ღამე გაზეთ „ცნობის ფურცელზე“ მუშაობდა და მოსახერხებელიც იყო ასოების გატანა, რაც იმ ხანებში ხშირად ხდებოდა ტფილისის სტამბებში და საიდუმლო სტამბებისთვის ასოები ამნაირად გაძოჭქონდათ, მის კომპლექტს ავსებდენ ასეთი ძოხერხებით.

როცა ამხანაგმა დრო შეურჩია და მიადგა ასოების უჯრედებს მისი ჯიბეში ჩასაყრელად, ამ დროს ის შეძჩნეული იქნა დიომიდე კილაძის ძიერ. თუმცა „ცნობის ფურცელს“ დ. კილაძე არ აწყობდა, ის მხოლოდ გაზეთის მენტრაპაჟოობას ეწეოდა. ის მაშინ მხოლოდ ეურხალ „ძოამბეს“ აწყობდა გაზეთის აწყობაძდე ის ღაძის 1-ლ და ორ საათამდე „ძოამბე“-ზე მუშაობდა, შემდეგ გაზეთის გვერდებს ჭკრავდა და ყველაზე ბოლოს თვითონ მიდიოდა სტამბიდან სახლში.

მის მიერ შეძჩნეული ამხანაგი მეორე დღეს დაიბარა ალ. ჯაბადარმა და მას ანგარიში ითხოვა, თანაც დაუძატა, რომ მას ქართველთა ამხანაგობის სტამბაში მეტი ფეხი აღარ შეედგა. ამ ამხანაგის დათხოვის მიზეზი იყო დიომიდე კილაძე მის მიერ შეძჩნეულ ასოების გატანაში, რაც მან ჯაბადარსაც შეატყობინა.

საზოგადოთ, ქართველ ნაციონალურ ბურჟუაზიას ძლიერ უყვარს თავისუფლებაზე ყვირილი და თავის თავს „რევოლიუციის“ ძოღვაწედაც კი ასაღებდა ერთ დროს ხალხის თვალის ასახვევად მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, მაგრამ საქმით ყოველთვის სდევნიდენ მუშებს, როძელნიც კი გაბედულად გაოდიოდენ და მართლა სისხლს ღვრიდენ ქუჩებში ნიკოლოზის ჯალათებთან.

აძას იმიტომ ვამბობ, რომ ალ. ჯაბადარს ყოველი პროკლამაციის ქუჩებში გავრცელება აცახცახებდა: „ვაიძე, ჩემი სტამბა არ დაძიკეტონ; ვაიმე ჩემს სტამბაში დაბეჭდილი არ ეგოხოს ანდარძებსო“ და სხვ. იქ მართლა შემდეგ წლებში ხშირად იბეჭდებოდა ჩუმად პროკლამაციები პოლიტიკური ხასიათის სხვა და სხვა ენებზე.

აი ასეთ პატარა გაფიცვებით იზრდებოდა დიდი რუსეთის რევოლიუცია, რომლის სათავე დღეს მხოლოდ მის ნამდვილ მესვეურს—კომუნისტურ პარტიას—უპყრია ხელში და მუშისა და გლეხის ნამდვილი ნებისყოფის გამომხატველი თვითონ არის.

ასოთ ამწყობი **უშ. ჯაში.**

მ უ შ ა

მე მუშა მქვია და ამ მკლავებში
ვიგრძნე შიგ ძალა უზენაესი,
ბრძოლის მორეკში მედგრად ჩავეშვი –
და დავიმონე ამაყი ზეესი.

განვაგრძობ წინსვლას ძლევისა გზაზე,
და ვიმორჩილებ თვით მარმენიოს,
ნებას არ ვაძლევ თავის ჭკუაზე
კვლავ მაჩანჩალოს და მარბენიოს.

ის მეშა მოკვდა, ვინც მონად გყავდათ,
ვინც რომ დაგყავდათ ჩაფხუტ-კოხუნჯით,
ის მუშა მოკვდა, ვისაც ურტყამდით,
ის კი ითმენდა და იყო მუნჯი.

დღეს ახალსახეთ ახალი ტყეა,
ლომის თათები აწმყოს ჩავსჭიდეთ,
ჯაჭვათ ავასხით დამდნარი ტყვია
და გადვისროლეთ უუსკრულზე ხიდეთ.

ყიჟინ-ხმაურით ცეცხლის რკალებით,
ამართულ ხღუდეთ ავლესავთ გუნდათ,
ნურვის გონია დავიღალებით,
ჩვენ წართმეული მივიღოთ უნდა.

ვსროლილობთ ლოზუნგს ამაყს და ზვიადს,
ავხლართავთ მავთულს, დავამსხვრევთ ზარებს,
ფოლადის მკერდით გავარღვევთ წყვდიადს,
და გამოვანგრევთ ევროპის კარებს.

სხვა მშრომელები გვიცხობს თავის ძმებს,
რომ კვალად ჩაგვრა არ განმეორდეს,
და უბოდიშოთ გავხდით ხელთათმნებს
აფრანტულ დენდებს, თავადებს, ლორდებს.

დავლეწთ—დავასსხვრევთ ძვირფას ლარნაკებს,
ბროლისა კოშკებს, ათლილ ლორფინებს,
გარედ გავისვრით ხალებს დანაგებს,
რომ მტვრიანი ქუჩა მოვფინოთ.

მაშინ კი, მაშინ გავიხთით ბეგთარს,
გვერდზე გადავდებთ მხალ-ლიბანდაკებს,
მწარე სამსალას მოვაცლით ნეკტარს,
და ფერად დროშებს ავაქანდაკებთ.

მე მუშა მქვიან, და ძლევის გზაზე
დავიმორჩილებ თვით მარმენიოს,
ნებას არ მივცემ თავის ჭკუაზე
კვლავ მაჩანჩალოს და მარბენიოს.

სოფო მგელაძე.

მუშათა თეატრი პარიზში

რამოდენიმე ხნის წინად პარიზში, სინდიკატების სახლში შესდგა მუშათა თეატრის პირველი წარმოდგენა. ამ ახალმა ორგანიზაციამ თავის მიზნად დაისახა ფართე პროლეტარულ მასსების ხელოვნებასთან და კერძოთ, თეატრთან დაახლოება. მუშათა თეატრმა თავის გეგმაში ფართედ დააყენა მაყურებლის მხატვრული აღზრდა, მისი შემოქმედების გაფართოება და კულტურულ დონის აწევა.

რომ თეატრი იყო ნამდვილი პროლეტარული შინაარსის, და არა მარტო თეატრი პროლეტარიატისთვის, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ მუშათა მასის ფართე წრეები უნდა ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას თეატრის ცხოვრებაში, მის გზის ძებნაში, ამიტომ სრულიად ბუნებრივია მუშათა თეატრის ორგანიზატორების მოწოდება ფართე პროლეტარულ მასისადმი, რათა ზედმეტი მსურველები შევიდენ თეატრის დასში, რომ ამით მათ მიეცეს საშვალება ფართედ განახორციელონ ის გრანდიოზული მიზნები, რომლებიც აქვთ დასახული მუშათა კლასის სასარგებლოთ. საყურადღებოა ფართედ განახორციელონ ის გრანდიოზული მიზნები, რომლებიც აქვთ დასახული მუშათა კლასის სასარგებლოთ, საყურადღებოა აღინიშნოს, რომ არაავითარი კონკურსი, გამოცდები და სხვა პირობები არ არის შემოღებული მუშათა თეატრში მსურველ მომუშავეთათვის. დაცულია მხოლოდ სრულიად უბრალო ელემენტარული პირობები.

დიდი გამარჯვება მოიპოვა პირველმა საცდელმა წარმოდგენამ, რომელიც გამართულ იყო შემდეგი პროგრამით: „შობა“—ერთ მოქმედებიანი ტრაღედია პიერ გაჟილს; პროვანსელების ხალხური დღესასწაული; „წისქვილი“—კომიკური ოპერა ერთ მოქმედებათ; „სერიოზული კლიენტი“ კერტელინის კომედია; იყო აგრეთვე სიმფონიური ორკესტრი.

როგორც ვხედავთ საღამოს პროგრამა შედგენილი იყო განსაზღვრელ გეგმით, მრავალგვარ შერეულ მასალისაგან, მაგრამ ნუ დაგვიწყდება, რომ ეს პირველი გამოცდილება არის და ის განსაკუთრებული გამარჯვება, რომელიც წილად ხვდა მას, უეჭველათ საყურადღებოა და ბევრს რასმ.ს გვეუბნება. პარიზის მუშათა ამ პირველ თეატრს არ ყავს ჯერჯერობით თავისი მრავალრიცხოვანი და ძლიერი დასი, არ აქვს მტკიცეთ განსაზღვრული ხაზი. მაგრამ ყოველივე ეს მომავალში გამოსწორებული იქნება.

შე—ლი.

(წიგნ)

ფრანკ ბრეგვინ

წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისმა თავისი სიტყვა სთქვა პროლეტარულ-სოციალურ მხატვრობაში. უოლეერ კრენ, ვილიამ მორრის, ბერნ ჯონსონ, უატს,—აი ვინ დაიძახა მშრომელი ხალხის ჩაგრული სულის შესახებ. მაგრამ მას შემდეგ ინგლისის აზროვნება იმ სფეროში დადუმდა. ახალი არაფერი უთქვამს უკანასკნელ ხანამდე.

მსოფლიო იმპერიალისტურ ომის ქარიშხალში იშვა ადამიანი, რომელმაც თავის ფანქარის მომჯადოებელ ობექტათ გაიხადა ინდუსტრიის და შრომის პირმშო შვილი, მებრძოლი ახალ ცხოვრებისათვის, პროლეტარიატი.

ფრანკ ბრენგვინ თავის შემოქნედებით არის „პრერაფაელისტების ძმობის“ და კეოძოთ მისი უდიდესი წარმომადგენელის ვილიამ მორრისის მოწაფე. („პრერაფაელისტების ძმობის“ მხატვრული იდეალი იყო მხატვრობა, რომელიც არსებოდა რაფაელ სანციომდე, რადგანაც მასში იყო მოცებული უფრო პრიმიტიუული და გულწრფელი სახეები, ვინემ შემდეგ დროინდელ „აკადემიურ“ ხელოვნებაში) მისი შემოქმედების ხილვით მაყურებლის წინაშე წამოიჭრება ხაზები, რომლებიც ჯონ რესკინს და ვილიამ მორრის არ მიიჩნდათ ხელოვნების ფერების არხივის ობექტათ: ქალაქის და ქარხნის მქშინავი გაქახება, მაღაროების ძოღრუბლული ცქერა, მუშის დაღვრემილი სახე, მისი შრომა, ბავშვების სიმშილით სიკვდილი, ომის შედეგები და სხვა, დაუსრულებელ რგოლებში ჩვენს წინაშე გაივლის ნისლსა და სიბნელიდან თანამედროვე მსხვილ ინდუსტრიალურ ინგლისის გრანდიოზული და ფახტასტიული სახე.

სურათის პირველ ხილვაზე ბრენგვინ ყოველთვის აყენებს მუშებს, მაგრამ არა როგორც მიკრულ მონებს მანქანებზე და გაჩენილებს მხოლოდ შრომისთვის, არამედ მუშებს ძმამავალ ბრწყინვალე ცხოვრების შემოქმედს, მუშებს, რომლებიც თავის მუსკულებით ქმნიან მთელ ინდუსტრიალურ ცივილიზაციას. მის მიერ ბრწყინვალე ხაზებში ასახული: მხერხავები, ქვის მთლელები, მტვირთავები, დოკერები და სხვ. ყოველთვის მოცემულია, როგორც პროლეტარიატის შრომის მონუმენტალური და დინამიური „სტილი“.

მართალია ამასთანავე, რომ ბრენგვინის მხატვრული შემოქმედებას ასვია დაღი იმ რეფორმიზმისა, რომელიც გამეფებულია ინგლისის სოციალისტურ მოძრაობაში, მაგრამ უკანასკნელ ცნობების თანახმად ეს დიდი შემომქმედი ცდილობს დაიღწიოს თავი ამ გზას და ჭეშმარიტად მოგვცეს წმინდა პროლეტარული სახეები...

შ. რადიანი.

ooo

გრძოლის სიმღერა

ჩვენ ვიცით მალე დადგება
ჩვენს ირგვლივ სისხლის ღვარები,
მაშინ უჩვენებთ ქვეყანას
ვინცა ვართ პროლეტარები.

წამოვიშლებით ყოველ მხრით:
თოხით, ნიჩბით და ბარებით,
ქვას ქვაზე აღარ დავუშვებთ
წითელი დროშის ჯარებით.

ავსტეხთ ქარსა და ქარაშოტს,
ელვას, ჭექას და ქუხილსა,
არ გამოულევთ მტარვალებს
ტანჯვას და გულის წუხილსა.

ცაზედა ღრუბლებს გავფანტავთ
მთვარეს გაუხსნით სავალსა,
დღეთ გარდავაქცევთ ბნელს ღამეს
და მოვსპობთ ქვეწარმავსლსა.

ცეცხლში ვაწამებთ მტანჯველებს,
ტანჯულებს მივცემთ შველასა,
ბრძოლით ნაშოვარ უფლებებს
გაუნაწილებთ ყველასა!

მუშა გ. შინატეხელი.

გრძოლის დღეებში

ზამთრის სუსხიანი დღე.

ცის გაიდაბანი სივრცე ღრუბლების ქულას ჩამოუხურავს.

მინდვრები დაემსგავსენ ნიაღვრისაგან გადარეცხილ ჭალებს.

აქა-იქ დგას ჭაობი.

მცენარეებს შემოძარცვიათ ფოთლები.

გზა-ტკეცილები დანგრეული და ტალახიანი.

იშვიათად გაივლის აქ მგზავრი.

მოწყენილი არე-მარე.

ტყე უდაბური.

მაგრამ ამ საერთო მიბნედილობას ხან არღვევს მატარებლის სტვენა, რომელიც დიდი ხნიო ტრიალებს ტყესა და მთის კალთებს შორის.

ერთად ერთი დამრღვევი ტყის და ზამთრის დაღვრემილობისა არის მხოლოდ რკინის გზის ლიანდაგი.

ხშირად მოხმაურობს მატარებელი, აღვიძებს არე-მარეს, ფრინველებს, მხეცებს, ტყის ცხოველებს.

რკინის გზის ლიანდაგს ახლო ხმაურობს წისქვილი.

ეს არის ბუდე, სადაც მზადდებოდა აჯანყება.

წისქვილი და აჯანყება!

დიახ, წისქვილი, აქ ღამეებს ათენებს გორგი და კარპეზ. ორთავე გაჭაბუტებულ უსამართლობას, მეფის როზგებს, და ხალხს სულით და ნივთიერად დაცემულს უნერგავს გამარჯვების და მომავლის იმედს.

განსაკუთრებით კარპეზ; იგი შეუპოვარი ვეფხვია, რომელმაც დახევა არ იცის საფრთხის წიხაზე.

მისი გულმკერდი, თვალები და სახის გამომეტყველება დაგარწმუნებენ იმაში, რომ ამ კაცში იმალება არაჩვეულებრივი ძალა.

კარპეზ გლეხის შვილი იყო.

მას არ მიუღია დიდი განათლება.

თვითგანვითარებით მიაღწია იმას, რასაც ბევრი მისი ყოფილი ამხანაგები მშობლების ხელის შეწყობით და დიდი ვაი-ვაგლახით აღწევდენ.

მან ნათლად დაინახა მშრომელი ხალხის აშკარა ყვლეფა.

მშრომელმა ხალხმა შეიყვარა იგი.

კარპეზი ახლა უფრო თამამად გამოვიდა უსამართლობის წინააღმდეგ.

მაგრამ თვითმპყრობელობის მცველი დამჭაშები კარგად ადევნებენ თვალს, თუ ვინ რას აკეთებს.

კარპეზი შენიშნეს.

ის პირველად გააფრთხილეს.

მეორე გაფრთხილებაც მიიღო.

მაზრის უფროსი ეუბნება:

რა გინდა ბიჭო, რამ გადაგრია! ჭკუა ისწავლე, სახლში დაჯექი, თუ თავის გაუბედურება არ გინდა. ჩემი ნათესავი, რომ არ იყო, ვიცი ახლაც დასაჭერი ხარ! წადი, აი, ერთხელ მიპატიებია—დედი შენის ხათრისთვის.

კარპეზი მიუხედავათ იმისა, რომ მაზრის უფროსი მისი შორე ნათესავი იყო, ერთიც არ შეუხედავს—ისე განშორდა—მაზრის უფროსს. სახლში მშობლები ესაყვედურებიან, გარეთ

ადმინისტრაცია, სახალხო საქმე კი თავისკენ ეძახის.

ამ დროს კარპეზის წინ აღიმართა ახოვანი ვაჟკაცი, ეს იყო გიორგი.

— ახ, გიორგი! ჩაეხვია კარპეზი მეტ მხურვალებით.

— ძლივს გიპოვე კარპეზ, მთელი დღე დაგეძებდი. ვიცოდი რომ აქ იყავ. რას იტყვი აქაურ მდგომარეობაზე!

—აქ კარგი არაფერია, ადმინისტრაციამ უხეშ ზომებს მიმართა. წარმოიდგინე კრების მოწყობაც კი ვერ მოვახერხეთ ისე ფხიზლად გვადევნებდენ თვალ-ყურს.

— ეს მოსალოდნელიც იყო, მე ამას ვგრძნობდი.

— მითხარ გიორგი, საიდან გაჩნდი ასე მოულოდნელად?

— ძალიან გიკვირს?

— სასწაულია, თუ მეტი არაფერი.

— მეც მიკვირს, და დღესაც საგონებელში ვარ. მე თვით არ ვიცი როგორ გავნთავისუფლდი.

— ასე ამბობდენ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტესო.

დიახ, მართალია ჩამოხრჩობა მომისაჯეს, მაგრამ ისე მოეწყო საქმე, ერთ რომ მშვენიერ დღეს, როცა ტუსაღებს ინახველებმა მოაკითხეს, მეც შეპირებისაძებრ მნახა ერთმა მჭედელმა, ვითომც იგი ჩემი ძმა იყო, მან გადმომცა ორი ბოთლი ღვინო, ერთში მორფი იყო გარეული. ციხის ზედამხედველის თანაშემწე ძალიან დაახლოვებული მყავდა. ის ძლიერ სწუხდა, რომ მე სულ რამდენიძე დღეში უნდა გამეყო თოკში თავი. თანაც მაძახხევებდა, რომ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართო. ვისარგებლე მე მისი გულუბრყვილობით და ერთ საღამოს, როცა ტუსაღების გადათვლა მორჩა, მივიწვიე იგი „სავახშოთ“.

დამთახხდა. მე სულ განმარტოებით ვიჯექი როგორც სიკვდილ მისჯილი. ადმინისტრაცია ციხეში ცუდი თვალით არ მიცქერდა და თუმცა სიკვდილ მისჯილი ვიყავი, მაგრამ ჩემი კარგი ყოფა ქცევით ადმინისტრაციის თვალში დინჯ და პატიოსან პირად ვითვლებოდი. ასეთი წარმოდგენაც კი შემუშავდა ჩემზე, რომ ციხის კარებიც, როდ გაეღოთ, ჩემ გაქცევას არ იფიქრებდენ.

აი, ასეთი პირობები იყო ჩემთვის იმ საღამოს, როცა „ვახშამი“ გაუწყვე ციხის ზედამხედველის თანაშემწეს. თვითონ ის იყო ბორიგე. დავიწყეთ მასლაათი. ვილაპარაკეთ ყველაფერზე გაოდა ჩემი სიკვდილით დასჯისა, რომელიც სამ დღეში უნდა უნდა მომხდარიყო. შემდეგ შევაპარე მორფ შერეული ღვინო. რამდენიმე ჭიქის შესმის შემდეგ მოდუნდა და უგრძნობლად ჩაიძინა. მე გავხადე უცებ ტანთსაცმელი ციხის ზედამხედველს და მით გამოვეწყე. როცა ციხის კარებში გავდიოდი ცოტა არ იყოს ტახში ცივმა სისხლმა ამიარღამიარა. მაგრამ თავი დავიჭირე კისერ მოღერებული გავსწიე პირდაპირ ციხის ეზოს კარებისაკენ, სადაც მაშინ სამი თუ ოთხი დარაჯი ყოველთვის იდგა.

მივედი ამ კარებთანაც. დარაჯებმა ამხედდამხედეს, დაეჭვდენ, მაგრამ რას იზამდენ, როცა მორიგე ზედამხედველის ტანისამოსით ვიყავი გამოწყობილი მხრები აიჩეჩენ, მე კი ჯერ დინჯი ნაბიჯით, ხოლო, როცა ქუჩის მოსახვევში მივაღწიე-მოვკურცხლე კურდღლის სირბილით. აი ასეთია ჩემი ტყვეობიდან გამოქცევის ისტორია. შენ არ დაიჯერებ და გზაში კი უფრო შავი დღე დამადგა. როცა მატარებელით მოვდიოდი, სულ საფარეშოში გავრბოდი, როცა დოკუმენტების გაჩხრეკის დრო მოახლოვდება. მაგრამ „ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უალი ჩვენგან თელილი მერანო ჩემო მაინც დარჩება“.

— ყოჩაღ გიორგი! შენ ნამდვილი გმირი ხარ, ვერავინ ვერაფერს გშველოდით, მაგრამ შენ თვითონ უშველე შენ თავს.

— რას იზამ ძმაო, როცა გაჭირვება ყელში მოგადგება. ასეთი ბაასი დიდ ხანს გაგრძელდებოდა, რომ იქვე არ ჩაეარა ერთ მათ ნაცნობ გლეხს, რომელიც მხოლოდ გლეხების მოძრაობის მონაწილეთ და მეთაურებს ასმენდა და აბეზღებდა ადმინისტრაციას, რომლისთვისაც იგი ფულს ღებულობდა და სხვა ათასგვარ შეღავათებს. ეს გლეხი სხვა გლეხებზე უფრო მდიდარი და შეძლებული იყო მთელ სოფელში. როცა მან გიორგი და კარპეზ დაინახა, თვალები შურით აენთო, მასში გაიღვიძა ღვარძლმა და ბოროტებამ. ეს ღვარძლი მით უფრო ღრმავდებოდა, რომ მისი შვილი დომენტი გიორგიზე და კარპეზე უფრო დიდი ნასწავლი არ იყო და ხალხში სახელი, პატივისცემა გიორგის და კარპეზს უფრო ჰქონდა. დომენტი ხალხს ძალიან სძულდა.

სოფლის ფერშლად ითვლებოდა.

ხალხს ტყავს აძრობდა.

თუ მას არ მოეპრიანებოდა ღარიბ გლეხს ოჯახში ავათმყოფს არ ნახავდა.

ამან გამოიწვია გლეხების გულში დომენტი სადი სამართლიანი სიძულვილი.

დომენტი ამას რაც უფრო გრძნობდა იმდენად შურისძიების თვალით უცქერდა სოფლელებს.

გიორგის და კარპეზს განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა იგი...

* * *

მოსაუბრე ამხანაგები ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, როცა მათ გვერდით ჩაიარა დომენტის მამა. დაშორდნენ იმ ადგილას, მაგრამ იქვე შეაჩერა ერთმა ახალგაზრდა ახოვანმა ვაჟკაცმა.

— შენ დაგგვიანდა!—უკმაყოფილო კილოთი დაიწყო კარპეზმა.—ჩვენ თუ ასე მოვიქეცით არაფერიც არ გამოვა.

— მართალია დამაგვიანდა, მაგრამ საქმე ხომ გავაკეთე!

— როგორ, იარაღი იშოვნეთ?..

— ყოჩაღ, ყოჩაღ, მე ამას არ მოველოდი!

— არა, სახიფათო საქმე კი გამოდგა. განსაკუთრებით მატარებლის გაჩერება შუა ტყეში, მერე ვაგონის გატეხა, რომელშიაც თოფები, რევოლვერები და ტყვიები ეწყო—დიდი თავგანწირვით გვიხდებოდა თავდასხმა. ჩვენი მხრით ორი დაიჭრა, ისიც მსუბუქად. ახლა ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ ხვალ არის ჩვენი გამოცდის ჩაბარება, ან გავიმარჯვებთ თუ არა და სიკვდილის მეტი ხომ არაფერი შეგვხვდება.

— დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი ჩვენ სასარგებლოდ გათავდება; დაბრკოლება იარაღში იყო, ახლა იარაღიც ჩვენ ხელთ არის. მხოლოდ საჭიროა, სიყოჩაღე და ზორს გამსჭვრეტელობა. ამას გარდა, ჩვენ გვითვალყურებენ!

— დღეს კი ვერაფერს გახდებიან, ხვალ ალიონიდან ჩვენ თვითონ შეუტევთ. გლეხობა ერთსულოვანია განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ერთი სიტყვით ჯერ ყველაფერი ხელს გვიწყობს, გარდა ბუნებისა, რომელიც ხვალისათვის ცუდ თოვლ-ჭყაპიან ამინდს აპირებს.

— ეგ არაფერი, მაგრამ ხვალ დანიშნულ დროს ყველანი გამოცხადდეს, ერთი წუთით დაგვიანება ნიშნავს ჩვენს დამარცხებას.

ახლა მშვიდობით!..

— მშვიდობით, გქონდეს იმედი. და ახალმოსული ახოვანი ვაჟკაცი გაშორდა გიორგის და კარპეზს.

ის იყო წითელ რაზმის უფროსი, რომელმაც მოაწყო ახლა „ეგზეკუციის“ თავდასხმა.

— ყოჩაღი ბიჭი უნდა იყოს—სთქვა გიორგიმ.

— ჩვენ სოფელში მას არ ყავს ტოლი. წარმოიდგინე, ორი დღის განმავლობაში შეიარაღა ათასამდე კაცი.

— მერე გაქვთ კი საკმაო ძალა, მტრის წინააღმდეგ?

— ათასი კაცი, ვგონებ ცოტა არ იქნება. და იგიც მოულოდნელად, რომ თავს დავესხმით.

შეიძლება მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიყოთ ფრთხილად. თუ გვიხსნის ისევ ის, რომ ჩვენ მაღ მოულოდნელად თავს დავეცემით.

— ცხადია ასე მოვიქცევით. ასე განაგრძობდნენ საუბარს გიორგი და კარპეზ, რომ წისქვილის კარები შეაღეს.

მეწისქვილემ ისინი დიდი სიხარულით მიიღო.

გააწყო ვახშამი. აქაც გადაიშალა მათ წინ ხვალინდელი დღე და მომავალი გეგმები ხალხის კეთილ-მოწყობისა.

შემდეგ, როცა ივახშმეს, მეწისქვილემ წისქვილის ჭერზე აიყვანა ორთავე.

არც გიორგის და არც კარპეზს ამ ღამეს არ დაეძინა, ორთავე ცალ-ცალკე ფიქრში იყო გართული.

უკვე ალიონი, ტყიდან მოისმა სტვენა, ორთავე ზეზე წამოხტა, და გარედ გავიდნენ.

მთელი ტყე მეამბოხე გლეხებით იყო მოფენილი.

გიორგი მიესალმა აჯანყებულ გლეხობას, კარპეზ აღფრთოვანებული დადგა მათ წინ და როგორც მთავარ სარდალი გაუძღვა მათ მტრის ბანაკისაკენ.

* * *

მზე კიდევ არ ამოსულიყო და სოფლის თოფების გრიალი აყრუებდა. ყველა გარბოდა, ბევრმა არაფერი იცოდა. განსაკუთრებით სოფლის ბობოლებმა. ბრძოლა გაგრძელდა თითქმის მთელი დღე. იყო ათასი მითქმა-მოთქმა.

ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა. უცებ სოფლის მოედანზე მოირბინა დომენტიმ სადაც მათი მეგობრები იყრიდნენ თავს. ის მხოლოდ აღფრთოვანებული იყო. დამხდურებს შეატყობინა, რომ აჯანყება მოეწყო გლეხებს, რომელიც იქნა „ეგზეკუციის“ მიერ განადგურებული. თქვენც უშველეთ თავს. ყაზახები გაბოროტებულია, მტერ-მოყვარეს აღარ არჩევენ. გიორგი, კარპეზიც მოუკლავენ. ზოგს ეს ამბავი არაფრად გაეხარდა, საერთოდ დაღვრემილობა ჩამოვარდა. სოფლებს ყაზახები ანადგურებდენ. მზე კი ცივად გამოიყურებოდა ხან და ხან ღრუბლებიდან. ბუნებაც თითქოს დამძიმდა და საერთო სიჩუმე სოფლისა გლოვდა დაკარგულ გმირებს.

ყაზახები კი განაგრძობდენ სოფლების რბევას.

ი. უ—ელი.

,,ომის გენია"

მუზა: ო. როდენის ქანდაკება.

საუკუნეებს... ბარიკადებს და ბრძოლის ველებს
წაურთმევია არაქათი: დალლილა რაში.
ქვეწარმავალი დაეძებს ხვრელებს—
ძვრება სილაში.

დადგა მერანი და მწვერვალზე იგი ვერ ადის.
ნალი ფოლადის ქვაფენილზე ცემით დასცვითა,
და აღვირები გამძლე მარადის
ბრაზით დასწყვიტა.
მისი ფაფარი არის ტირიფი
და მგლოვიარე, ვით ქალი ქვრივი...
ჩამოჰხტა გმირი—მას არ აშინებს ბორცვი ირიბი:
შუბლი აქვს მკვრივი.

ავიდა ზევით, ვით პანთეონის მაღალ გუმბათზე,
მაგრამ შორს არის ჰორიზონტი— არ მოსჩანს იგი,
რომ მის ძახილის მედგარ ნობათზე
გამოალვიძოს მებრძოლთა რიგი...
იგი დაეყრდნო თავის მოძმის რკინის მუხლ-კუნთებს:
ავიდა ზევით და ცეცხლის ალს სამყაროს უნთებს
—და მის ძახილზე ილვიძებენ ლეგიონები:
შურის ძიების სტიქიონები.

ალსდგა არმია და გაშვერილ ხელის სიგნალით
ჰკივის სარდალი:
—შემოკრბენ ერთად მილიონები
და ომის მარშით მწყობრად მოჰქრის ლეგიონები!

ი. ხინველი.

ბიბლიოგრაფია

,,რევოლიუციის მატიანე"

№ 1 (6) პარტიის ისტორიული ჟურნალი. ქ. ტფილისი, 1924 წ.

ერთი წელიწადია რაც გამოდის ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე" და ყველა ნომრები, რომელიც კი გამოვიდა შინაარსის მხრივ თავის სიმაღლეზე იდგენ. ზედმეტია იმის მტკიცება თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ჟურნალს. მთელი წარსული რევოლიუციონური მოძრაობა, მუშათა მოძრაობა, ყოველი ნაბიჯი, რომელიც კი გადადგმულა მშრომელი ხალხის ბატონობის განსამტკიცებლად—ამ ჟურნალში არის მოთავსებული. როდესაც დაიწერება ისტორია, თუ როგორ დამყარდა მშრომელთა ბატონობა, ყოველ წერილს მოთავსებულს ამ ჟურნალში, როგორც ნედლ მასალას განუზომელი მნიშვნელობა ექნება.

უკანასკნელი ნომერი № 1 (6) განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ჟურნალი მაშინ იბეჭდებოდა, როდესაც გარდაიცვალა ვლ. ლენინი. ამიტომ ამ ნომერში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მის ხსოვნას, რისთვისაც მოთავსებულია წერილები: **1. ლ. ტროცკის, 2. ს. თალაკვაძის, 3. სტალინის, 4. მიხ. ცხაკაიასი, 5. ფ. მახარაძის, 6. დუმბაძის** და **7. ს. ალილუევის**.

პირველ განყოფილებაში მოთავსებულია ისტორიული ხასიათის წერილები **1. რ. კალაძის**, რომელიც დეტალურად აღწერს მუშათა ქართულ ჟურნალ-გაზეთების ისტორიას და 2. **პ. გელეიშვილის**—ე. ინგოროყვას (ნინოშვილი) ბიოგრაფია.

მეორე განყოფილება შეიცავს პირველ რევოლიუციის ხანას (1905 წ.), სადაც მოთავსებულია მასალები 1905 წ. რევოლიუციონერი მოძრაობის შესასწავლად. ეს ხანა ვისაც რევოლიუციონური მოძრაობა აინტერესებს, მრავალ მასალას ჰპოვებს მის შესწავლისთვის.

შემდეგ მიდის პირადი მოგონებანი **გ. ჩხეიძის, კ. ცინცაძის, ს. თედრისი, ლ. მიროტაძის, თ. კალანდაძის, პ. ცინცაძის და დ. რუხაძის.**

ყველასათვის ცხადია თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს ამ მოგონებებს. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ავტობიოგრაფიაც **მიხ. ჩოდრიშვილის**—„ჩემი თავგადასავალი".

მე 5 განყოფილებაში მოთავსებულია ცნობები რევოლიუციონურ ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლების შესახებ. რამდენმა ჭეშმარიტმა რევოლიუციონერმა შესწირა თავი მშრომელი ხალხის ბატონობის დამკვიდრებას და ისინი დავიწყებულნი არიან ჯერ-ჯერობით.

ეს ჟურნალი აღადგენს სახეებს ამ უანგარო მებრძოლთა.

მეექვსე განყოფილება შეიცავს (პარტიულ არქივს). მეშვიდე—საქართველოს რევოლიუციის მუზეუმს (ქრონიკა). მერვე—რუსეთის პარტიის ცხოვრება და მეცხრე—ბიბლიოგრაფიები, რომელნიც ეხებიან რევოლიუციის და პარტიის ისტორიას.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ფოტოგრაფიული სურათები რევოლიუციონურ ბრძოლაში დახოცილ ამხანაგების.

საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ ჟურნალი შინაარსის მხრივ მდიდარია და ტეხნიკურად შესანიშნავად გამოცემული.

მკითხველი.

—

,,ცეცხლის აკორდები"

ლექსების პირველი წიგნი გ. ციმბირელისა.

გამოვიდა გოგიტო ციმბირელის პირველი წიგნი: „ცეცხლის აკორდები". ამ წიგნში მოთავსებულია პოეტის ის ლექსები, რომლებიც იბეჭდებოდა სხვა და სხვა ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში. მკითხველ საზოგადოებისათვის თითქმის ცნობილია ყველა ეს ლექსები. წიგნი ლამაზათ არის გამოცემული. ავტორს ეტყობა მზრუნველობა და დიდი შრომა დაუხარჯავს წიგნის ლამაზათ გამოცემისათვის. წიგნს უძღვნის წინ „კრიტიკული განხილვა" პოეტის შემოქმედების. ავტორი ამ კრიტიკისა ასე უცქერის პოეზიას და კერძოთ პოეტს: „არის წინასწარმეტყველური ხდავაც... მაგრამ შემოქმედი... ეპოქის პრიზმით უცქერის შორეულ მწვერვალებს". კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს პრიზმა რაღად დასჭირდა პატივცემულ კრიტიკოსს?

შეხვდებით ასეთ დებულებასაც: „მწერლის ნამდვილი, სრული პორტრეტი შეიძლება დაიწეროს მხოლოდ მაშინ, როცა მასში საბოლოოდ გაჰქრება შემოქმედებითი ცეცხლი"-ო. მაგრამ თუ შემოქმედების ცეცხლი პოეტს თავიდან აკლია?

პატივცემული კრიტიკოსი კიდევ შორს მიდის და გვეუბნება, რომ როცა რევოლიუციის პროცესში იმყოფება შემოქმედი—ის სუსტია, მხოლოდ, როცა გრიგალი გადაილებს ,,დროული ტკივილები გაივლის"—მაშინ ყოფილა შესაძლებელი შემოქმედების ანალიზის გაშლა. (როგორ მოგწონთ, საკვირველი ამბავია!).

ჩვენის აზრით წიგნი ბევრს მოიგებდა „უკრიტიკოთ გამოსულიყო" ვინაიდან მკითხველი საზოგადოება უკეთესი კრიტიკოსია პოეტისათვის.

შევეხოთ პოეტის შემოქმედებას: დაწყებული პირველ ლექსიდან და გათავებული უკანასკნელ ლექსამდე—ვერ ნახავთ ერთ პწკარს, რომ ის არ იყოს გაჟღენთილი რევოლიუციონური სულით. მაგრამ ამავე დროს მას აქვს უმეტეს ნაწილს ლექსებისას მოქნილი ტეხნიკა. გოგიტო ციმბირელი უპირველესად რევოლიუციის პოეტია, მისი პოეზია უფრო ეგუება რევოლიუციის სიმძაფრეს—ვიდრე ნორმალურ აღმშენებლობას. ასეთია მაგ., ლექსები: „წითელ ოკეანეზე". ეს ლექსი ისეთი ფორმის და შინაარსისაა, რომ თავისუფლად, ამოუდგება გვერდში ვლ. კირილოვის ლექსს: „რკინის მესია"-ს. კარგი ლექსია აგრეთვე „ქალაქი". აქ პოეტს მოცემული აქვს ქალაქის მთელი უცნაურობა. პოეტს უყვარს ქალაქი და მისი „დინამიური ცეცხლეთის ბგერა", სადაც მან „შეისწავლა თავისი სიმღერა". რომელიც სავსეა ყოველთვის, ერთ და იმავე დროს: „კვნესით, მწუხარებით, ლხინით და ქეიფით". მაგრამ მას მაინც უყვარს ქალაქი მომავალი, სადაც არ იქნეია „მწუხარება" არამედ ლხინი".

კარგია ლექსი: „აჯანყება", —„ილვიძებს ხალხი, .. ქუჩის მონები ჩაება ბრძოლაში".— ,,ცრემლი ვის ახსოვს, ყიჟინაა, ცეცხლის სიმღერა".

მხატვრულად დაწერილია ლექსი: ,,ძველ რვეულიდან". აქ პოეტი ჭეშმარიტი შემოქმედია.

ლექსი ,,პირველი მაისი" არის ერთად-ერთი ნიმუში, რომლითაც შეიძლება დაფასდეს გ. ციმბირელის შემოქმედება. აქ არის გულწრფელობა და მეტი განცდა, რასაც კი ლებულობს პოეტი სინამდვილისაგან.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს ლექსი: ,,ობოლი". თემა პოეტმა დასძლია. ფორმაც არ ჩამოუვარდება შინაარსს. ერთი სიტყვით. პოეტი გოგიტო ციმბირელი პროლეტ. პოეტებში იჭერს საპატიო ადგილს. სასურველია მისი წიგნის გავრცელება მუშებს შორის. არის ერთი ნაკლიც არ შეიძლება მაგალითად

წიგნში გქონდეს სულ 47 ლექსი და ამათში 15 სხვა და სხვა დაწესებულება და პიროვნებისადმი იყოს მიძღვნილი.

კ. ჩანი.

„პირველ ყოფილ კომუნიზმიდან თანამედროვე კომუნიზმამდე“

ამ მოკლე ხანში ტფილისში გამოვიდა ს. ს. ს. რ. პოლიტ. განათ. მთ. მართველობის გამოცემით პლაკატი **„პირველ ყოფილ კომუნიზმიდან თანამედროვე კომუნიზმამდე“**, რომელიც მხატვრულად შესრულებულია ორ მხატვარ შილაკძისა და გველესიანის მიერ. სურათებს თან დართული აქვს ქართულ ენაზე ახსნა-განმარტებანი. მთელ ამოდენა სურათზე აღნიშნულია მხატვრულად თითქმის რევოლიუციონური მიმდინარეობა, ძველი და ახალი რევოლიუციონერების სურათები.

სურათების წყობა სრულიად დაცულია თვალსაჩინო სისტემით და შეზავებულია სხვა და სხვა ფერებში. ვისაც კი ბურჟუაზიული კლასის შანთებით აწვია ზურგი და ვინც აღზრდილია პროლეტარული სულით, შეიძლება არ დამეთანხმოს იმაში, რომ ეს მხატვრული შემოქმედება მშრომელი მასისათვის დიდი საჩუქარია. სურათზე თქვენ იხილავთ ისეთ ეპიზოდებს ცხოვრების სინამდვილიდან ამოღებულს რომლისთვისაც იბრძოდა საუკუნოებით ტანჯული ხალხი. იდეა მხატვრების რეალურია.

ჩვენში მხატვარი მრავალია, მაგრამ იშვიათად შეხვდებით მათ მხატვრულ შემოქმედებას, რომელიც სწვდებოდეს პროლეტარიატის გულსა და სულში. დღეს, როდესაც იქმნება პროლეტარული კულტურა და იზრდება ხელოვნება სწორედ ამ დროს არის საჭირო რეალობისაკენ გადაჭრა და ასახვა იმ სინამდვილის, რომელიც ყოველ მიხედვის დროს თვალებზე გეფენება. ამ მხრივ შილაკაძე და გველესიანი ამ სურათების შესრულებით გამარჯვებულია. ტექსტი (ახსნა-განმარტება) სროლი სისწორით არის შედგენილი და ეტყობა რომ გამოცდილ რევოლიუციონერის ხელით არის დაწერილი.

შალვა ჯ - ანი.

მეცნიერება და ტექნიკა

მზის სხივების გამოყენება მანქანების ასამუშავებლათ.

მეცნიერებამ უკვე გამოარკვია, რომ სათბობი მასალის მარაგი დედამიწაზე გამოულევი არ არის. მთელი სათბობი მარაგი დედამიწაზე კაცობრიობას ეყოფა 1000 წლის განმავლობაში.

მაგალითად საკუთარი ნავთი ამერიკას მხოლოდ 15 წლის განმავლობაში ეყოფა.

გარდა ამისა თანამედროვე სათბობი მასალა ძვირი ჯდება.

ამიტომ მეცნიერები უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ იმ უფასო სითბოს გამოყენების საკითხს, რომელსაც მზე უგზავნის დედამიწას.

უკვე გამოიგონეს მანქანები, რომლებიც აგროვებენ მზის სხივებს, აგროვებენ მზის სითბოს და მზისაგან მიღებული სითბოს საშვალებით ამუშავებენ მანქანებს.

მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის გამოგონებული ისეთი სრულქმნილი მანქანა, რომ შეიძლებოდეს ლაპარაკი თანამედროვე სათბობი მასალის „მზის სხივების შემკრები მანქანით“ შეცვლაზე.

ჯერ ჯერობით ეს საქმე ცდების პროცესშია.

ასეთ ცდას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის აკადემიის ინჟენერის გ. ბუროვის გამოგონება.



ᲛᲖᲘᲡ ᲡᲘᲗᲑᲝᲡ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ.

ინჟენერმა ბუროვმა დაანზადა მოდელი ისეთი მანქანისა, რომელმაც უნდა შეკრიბოს მზის სხივების სითბო და გადააქციოს მოძრაობის ენერგიათ, ელექტრონათ და სხვა.

მანქანა სრულიად უბრალოა ღერძზე თავისუფლად მოძრაობს ვარსკვლავი, რომელიც შესდგება რამდენიმე წყვილ თანაბარ შუშის ჭურჭელიდან. ეს ჭურჭლები ნაწილობრივ სავსე არიან სითხეთი, რომელიც ჩქარა ორთქლდება. ინჟინერმა გ. ბუროვმა ისარგებლა ეთერით, შეიძლება კი წყალითაც სარგებლობა. ერთი მეორის მოპირდაპირე ჭურჭლები ერთმანეთს შორის მილით არიან შეერთებული.

ამ ვარსკვლავის პირდაპირ დადგმულია ფარი, რომელიც ვარსკვლავის ნაწილს ფარავს მზისგან, მეორე ნაწილზე კი ეცემა მზის სხივები. რათა მეტი სხივები შეკრიბოს ჭურჭელმა, ის ნაწილი, რომელზედაც მზის სხივები უნდა დაეცეს გაბრტყელებულია და შავი ლაქით არის დაფარული (შავი ფერი მეტ სხივებს იზიდავს).

ამისთვის, რომ ნათელი გახდეს თუ რაში მდგომარეობს ამ მანქანის საიდუმლო, ვარსკვლავიდან გამოვყოთ ერთი წყვილი ჭურჭელი და მას ცალკე ვადევნოთ თვალყური.



ᲛᲖᲘᲡ ᲡᲘᲗᲑᲝᲡ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ ᲨᲣᲨᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲮᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ.

ამ ჭურჭელის ერთი ბოლო აღვნიშნოთ ასოთი ა, მეორე კი ასოთი ბ. ბ ნაწილი დაფარულია ფარით, ა ნაწილი კი მიშვერილია მზისკენ. ეთერი მასში თბება, ჰაერის მოცულობა დიდდება, გამთბარი ჰაერი აწვება სითხეს და მიდგინის მილით ჭურჭელ ბ-ში. ამ რიგათ ზედა ჭურჭელში ბ სითხე უფრო მეტია ვიდრე მეორე ნაწილში. სიმძიმე აწვება მას და ის დაბლა ეშვება. ასე თანდათანობით თბება მანქანის ცალი წყვილი ჭურჭელი და ამრიგათ მანქანა განუწყვეტლივ მოქმაობაშია.

X.



ᲓᲦᲔᲡᲘᲐ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲬᲐᲨᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲫᲚᲘᲐᲜᲘ ᲫᲐᲠᲘᲡ.

მზიან ქვეყნისკენ

დღეს ლეგენდები მრავალ ფერება
კვალს ვეღარ აჩნევს შორეულ ნაპირს...
გზა გამოვლილი გრიგალ-სტიქიით
ჰკავს ნიაღვრებით ნაურვებს, ნატირს.

მან ამ ყოფიდან გადმოგვაქანა,
სან ნაპირწკლებით არე იწოდა,
და მსწრაფლ მამოძრავ თუჯის მანქანას
კაცობრიობის დაემხო ცოდვა.

ᲓᲦᲔᲡ გადაშლილი ᲭᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ,
ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲭᲐᲠᲨᲮᲐᲚᲐᲓ გადაიქცევა,
ᲛᲖᲔ გაშლილ გულით მიესალმება
ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲥᲐᲠ ᲦᲠᲘᲐᲚᲡ ᲓᲐ ᲠᲮᲔᲕᲐᲡ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲭᲠᲝᲚᲕᲐ ᲬᲐᲘᲦᲔᲑᲡ
ᲙᲐᲪᲡ-ᲙᲐᲪᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ,
თუ გამარჯვების მსხვერპლსაც გაიღებს
სამარადისოდ დაიპყრობს შვებას.

და ჰა! ᲪᲥᲠᲘᲐᲚᲐ ᲨᲝᲠᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ!
ᲬᲘᲗᲔᲚ ᲤᲔᲠᲔᲑᲨᲘ ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲘ ᲔᲚᲐᲕᲡ,
ᲗᲐᲜ ᲓᲐᲐᲛᲝᲠᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲚᲐᲛᲘ
რომლის ცოდვისგან ქვეყანა ღელავს.

ᲛᲖᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲔᲑᲘ
Ო, ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲓ გაᲔᲥᲪᲔᲕᲘ?!
ᲘᲥ ᲨᲔᲠᲙᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲠᲐᲨᲔᲑᲘ
ᲭᲥᲠᲘᲐᲜ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲖᲔᲕᲘ...

ნ. ინასარიძე.

კინო

მადლობა საქართველოს კინო-მრეწველობას

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის საფეიქრო ქარხნების „კომუნ-ავანგარდის“ (ყოფ. სობინინის მანუფაქტურა) მუშებისაგან გადაეცა წითელი დროშა წარწერით: „საქართველოს კინო-მრეწველობის მუშაკებს —პირველი საუკეთესო საბჭოთა სურათის— „წითელი ეშმაკუნების“ შექმნისათვის, „კომუნავანგარდის“ მრავალ ათას მუშებისაგან პროლეტარული მადლობა. გაუმარჯოს ჭეშმარიტ კინოსოციალიზმის დიდ თანამგზავრს.

(„იზვესტია“ № 117. 27 მაისს).

რ უ ს ე თ ი.

„შეშლილი ქალები“. სახ. კინ. მრეწველობამ მიიღო უცხოეთიდან სურათი „შეშლილი ქალები“, რომელშიაც გამოხატულია რუსეთის თეთრგვარდიელების ცხოვრება ემიგრაციაში.

„კომ ნტერნის დღე“. პროლეტკინომ გამოუშვა კინო-ქრონიკა „კომინტერნის დღე“.

„მოსკოვი 1923 წელს“. „კინო მოსკვა“-მ დაასრულა გადაღება სურათის „მოსკოვი 1923 წელში“.

„მისტერ ვესტი ბოლშევიკების მხარეში“. რეჟისორ ლ. კულეშოვის მიერ ნ. ასეევის სცენარის მიხედვით გადაღებულმა სურათმა „მისტერ ვესტის უჩვეულო მოგზაურობამ ბოლშევიკების მხარეში“ დიდი ყურადღება მიიპყრო, როგორც დადგმით ისე შინაარსით.

„1 მაისი“. პროლეტკინომ გადაიღო სურათი „1 მაისი მთელ ქვეყანაზე“, რომელშიაც გადაღებულია მუშათა დემონსტრაციები წარსულ პირველ მაისობის: მოსკოვში, პარიზში, ბერლინში, ნიუ-იორკში, პრაგაში, ციურიხში, და სხვ.

„კრემლი წარსულში და აწმყოში“. სევზაპკინომ უკვე გადაიღო დიდი სურათი-ქრონიკა „კრემლი წარსულში და აწმყოში“.

„რკინის-გზელების ყრილობა“. გადაღებულ იქნა სრულიად რუსეთის რკინის-გზელთა ყრილობა, რომლის საყურადღებო მომენტები შევა დიდ მხატვრულ ფილმაში.

„ძაღი-ძაღზე“. დაწყებულია გადაღება სურათის „ძაღი-ძაღზე“ ფეიქრების ცხოვრებიდან.

მოთხოვნილება. პროლეტკინომ მიიღო მოთხოვნილება შვეციიდან, დანიიდან, ნორვეგიიდან, ჩეხო-სლოვაკიიდან და ამერიკიდან ფილმებზე: „ბრძოლა ულტიმატუმისათვის“ და „კომკრივი ივანოვი“.

„რკინის კატორღა“. პროლეტკინომ დაიწყო მუშაობა „რკინის კატორღის“ (რ. კ. პ. ისტორია) სცენარის ჩამოსაყალიბებლად.

„გაზეთის გამყიდველი“. სემიონ როდოვის „გაზეთის გამყიდველი ქალი“-ს (5 სერია) გადაღება უკვე დაიწყო.

„ხალხი და ღმერთები“. მწერალმა ანატოლი კამენსკიმ დასწერა კომედია ეკრანისთვის სახელწოდებით „ხალხი და ღმერთები“.

„ზეინკალი ტოკარევი“. სევზაპკინომ მიიღო დასადგამათ სცენარი „ზეინკალი ტოკარევი“ („წითელი პარტიზანები“), სცენარი ხატავს ციმბირის გლეხობის ბრძოლას თეთრგვარდიელების (კოლჩაკის) წინააღმდეგ.

„ჩაი“. სევზაპკინომ ამერიკიდან მოწვეულ კინო-რეჟისორს ვიაჩესლავ ვისკოვსკის დაავალა დადგმა კომედიის „ჩაი“. ეს არის საბჭოთა ყოფაცხოვრებიდან პირველი კომიკური სურათის დადგმის ცდა.

„თეთრების ზურგში“. სევზაპკინომ მიიღო დასადგამათ სცენარი „თეთრების ზურგში“. ეპიზოდი დენიკინთან ბრძოლის პერიოდიდან. სცენარი დაწერილია მუშის მიერ, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ ბრძოლაში.

„მუშათა მოძრაობა ეკრანზე“. ტყავის დამმუშავებელთა კავშირის წინადადებით სევზაპკინომ მიიღო დასადგამად მუშა დოლგოპოლცევის სცენარი, ებრაელი მუშათა მოძრაობის ისტორიიდან 1905 წლის დამდეგს.

„დეკაბრისტის რომანი“. სევზაპკინომ მიიღო დასადგამათ მჩემოლევის („სასახლე და ციხე“-ს სცენარის ავტორია) სცენარი „დეკაბრისტის რომანი“.

„სტეპან ხალტურინ“ სევზაპკინო ამთავრებს სურათს „სტეპან ხალტურინს. ამ ჟამად ხდება ისტორიული ამბების გადაღება ოდესაში.

„სასახლე და ციხე“. ბერლინის ჟურნალ გაზეთები ძლიერ აქებენ სურათს „ციხე და სასახლე“.

რევოლიუციონური კინემატოგრაფიის ასოციაცია. რუსეთის განათლების კომისარიატმა დაამტკიცა რევოლიუციონური კინემატოგრაფიის ასოციაციის წესდება. 13 მაისს შესდგა ასოციაციის დამფუძნებელი კრება.

„ახალი სურათები“. „გოსკინომ“ შეიძინა რამდენიმე ახალი სცენარი: ი. დანილოვის— „ცხოვრება, შრომა და ბრძოლა“, „შავი გულისთვის“—დონის მაღაროების მუშათა ცხოვრებიდან, კოლოკოლოვის—„ცრემლების ველი“ და სხვ.

„მათი ბედი“ სევზაპკინომ მიიღო დასადგამათ სტერჩკოვის სცენარი „მათი ბედი“ („ლეიტენანტ შმიდტის აჯანყება“).

ი ნ გ ლ ი ს ი.

რუსული სურათები. მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის ლონდონის განყოფილებამ ლონდონისათვის შეიძინა სურათები „პოლიკუშკა“ და „მოსკოვის აღდგინა“. მეორე სურათის შესახებ ინგლისის მუშათა პარტიის ორგანო „დაილი ჰერალდ“ სწერს: „ეს სურათი საუცხოვოდ უარყოფს ცრუ და პროვოკაციულ ხმებს თითქო საბჭოთა რუსეთის ქალაქების სასაფლაოს ემსგავსებიანო“.

„ნიმელუნგები“ ინგლისში. 30 აპრილს ლონდონის ერთ-ერთ საუკეთესო კინო-თეატრ. პირველად პრესის წარმომადგენლებს უჩვენეს „ნიმელუნგების“ პირველი ნაწილი. სურათმა დიდი აღტაცება გამოიწვია.

გ ე რ მ ა ნ ი ა.

„სალომეა“ ეკრანზე. გერმანიის ერთ-ერთმა კინო-საზოგადოებამ გადაიღო ეკრანზე ოსკარ უაილდის „სალომეა“. სალომეას როლს ასრულებს ცნობილი მსახიობი ქალი ალა ნაზიმოვა.

„წლის ოთხი დრო“. გერმანელი კინო-საზოგადოება დგამს სურათს „წლის ოთხი დრო“ (ოთხი პერიოდი ქალის ცხოვრებაში). მთავარ როლს ასრულებს მსახიობი ქალი ასტა ნილსინ. სურათის პირველი ნაწილია—„პეპლების ომი“ (გაზაფხული), მეორე—„იუდიფ“ გობბელის მიხედვით (ქალის ზაფხული), მესამე— „ანნა კარენინა“ (ქალის შემოდგომა), მეოთხე „პიკის ქალი“ (ქალის ზამთარი).

„ტრინიონ“. ფილმა „ტრინიონმა“ შეუდგა გადაღებას „ბედნიერების ძილი“-ს მარი ლიდკეს მონაწილეობით.

„ადამიანი და მასკები“. უკანასკნელად გამოშვებულ გერმანულ სურათებს შორის ყველაზე უფრო ყურადღებას იქცევს მარი პილლის მონაწილეობით დადგმული სურმთი „ადამიანები და მასკები“.

ი ტ ა ლ ი ა შ ი.

ტრაღიკული-კინო ინსცენიროვკა. ამ რამოდენიმე ხნის წინად რომში იდგმებოდა ერთი კინო-სურათი ცირკის ცხოვრებიდან როდესაც მსახიობები დადგნენ აივანზე მათთვის მიჩენილ ადგილზე, გამოშვებულ იქნა გალიიდან მხეცები. მოულოდნელად ლომმა სწრაფი გადახტომით გაშორდა თავის ადგილს და დაეტაკა მსახიობ პალომბის, რომელიც თამაშობდა რომის სენატორის როლს. ისეთი დიდი ჭრილობები მიაყენა ლომმა მსახიობს, რომ იგი საავადმყოფოში გაგზავნის თანავე გარდაიცვალა.

თეატრი

რ უ ს ე თ ი.

მოსკოვის სამხატვრო თეატრში. მოსკოვის სამხატვრო თეატრის პირველ სტუდიას მომავალი წლიდან ეწოდება „ახალი სამხატვრო თეატრი“.

მეოთხე სტუდია გადაკეთდება რაიონულ თეატრათ და მას სათავეში ჩაუდგება ამერიკიდან დაბრუნებული რეჟისორი ბურჯალოვი.

მესამე სტუდიას ეწოდება ვახტანგოვის სახელობის თეატრი.

სტუდიის სახელწოდებას შეინარჩუნებს მხოლოდ ახლანდელი მეორე სტუდია.

მუსიკა

ა მ ე რ ი კ ა.

რუს მუსიკოსის მოგონებები. ნიუ-იორკში ინგლისურ ენაზე გამოვიდა ცნობილი რუსი სკრიპკის დამკვრელის აუერის მოგონებები.

გ ე რ მ ა ნ ი ა.

შალიაპინი ბერლინში. ცნობილი რუსი მომღერალი შალიაპინი ამერიკიდან დაბრუნდა ევროპაში. პარიზში მან გამართა ერთი კონცერტი და შემდეგ ბერლინს გაემგზავრა. შემოდგომაზე შალიაპინი რუსეთში ბრუნდება.

გამომცემლობა

რ უ ს ე თ ი.

რ. ს. ფ. ს. რ. წიგნის პალატის ცნობით 1923 წ. განმავლობაში გამოვიდა რუსეთში 18.608 წიგნი და 13.326 ნომერი ჟურნალი.

ი ნ გ ლ ი ს ი.

1923 წლის განმავლობაში ინგლისში გამოვიდა სულ 12.724 სხვა და სხვა სახელწოდების წიგნი.

ა მ ე რ ი კ ა შ ი.

სულ 1923 წლის განმავლობაში ამერიკაში გამოვიდა 8.863 სხვა და სხვა წიგნი, აქედან ამერიკელი ავტორების—6.742, ინგლისელ და სხვა ავტორების—2121.

სხვა და სხვა წიგნები

ჯამს უკეთებს თავის „მოღვაწეობას“. საფრანგეთის მილიტარიზმის სულის ჩამდგმელი და საფრანგეთის პოლიტიკის ხელმძღვანელი ომის დროს, ახლა კი უსაქმოდ მყოფი ჟ. კლემანსო ამზადებს წიგნს „ჩემი მოღვაწეობის ჯამი“.

ლიტერატურა

რუსეთში.

ჯგუფი „ოქტომბერი“. პროლეტარიულ პოეტების ჯგუფმა „ოქტომბერმა“ თავის მხატვრულ იდეოლოგიურ პლატფორმის განვითარების მიზნით დაიარაღა ჯგუფის მონაწილეებს ისეთ ნაწარმოებების შექმნა, რომლებიც ხატავენ მასსიურ მუშებს—წარმოებაში და ყოფა-ცხოვრებაში. ამ მიზნით ჯგუფმა სთხოვა მ. კ. პ. ც კ. მიამაგროს მისი წევრები მსხვილ სამრეწველო რაიონების მუშურ უჯრედებს, დაიარაღოს მათ არა თუ მარტო ამ უჯრედებში მუშაობა, არამედ სხვა სამრეწველო ორგანიზაციებშიც.

ახალი წიგნები. იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა „ოქტომბრის“ ჯგუფის მწერლების მთელი რიგი ახალი ნაწარმოებებისა.

ტარასოვ-როდიონოვის „სატუსალო“. ცნობილ „შოკოლოდი“-ს ავტორმა ტარასოვ-როდიონოვმა დაასრულა ახალი მოთხრობა „სატუსალო“.

„ტრამვაი 577“. ბეზიმენსკი სწერს პოემას „ტრამვაი 577“.

მაიაკოვსკის გამგზავრება საზღვარ-გარეთ. რუსმა პოეტმა ვ. მაიაკოვსკიმ ამერიკაში გამგზავრების წინ, ბერლინში რამდენიმე საღამო გამართა.

„წმინდა მხეცი“. მწერალი ანატოლი კამენსკიმ დასწერა ახალი ოთხ-მოქმედებიანი პიესა „წმინდა მხეცი“. სიუჟეტი აღებულია თანამედროვე ცხოვრებიდან.

„ქრისტე ფრაკით“. ანატოლი კამენსკი სწერს ახლ ოთხ-მოქმედებიან პიესას „ქრისტე ფრაკში“.

წიგნი სტენკა რაზინზე. ლენინგრადში სიძველეებით მოვაჭრე ვოლკოვმა შემთხვევით შეიძინა იშვიათი წიგნი სტენკა რაზინზე. წიგნი გამოცემულია რაზინის სიკვდილით დასჯის ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1974 წ. გერმანიაში ლათინურ ენაზე.

პოლონეთი.

გენრიხ სენკევიჩის ნეშტის გადმოტანა პოლონეთში. ვარშავაში რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მოაწყოს ცნობილ პოლონელი მწერლის გენრიხ სენკევიჩის ნეშტის გადმოტანა ვეიედან (შვეიცარიაშია) პოლონეთში.

ინგლისი

„დამარცხება“. ლონდონში გამოვიდა ჯ. მასსის მოთხრობების წიგნი „დამარცხება“. მოთხრობები ფრანაგების მიერ დაპყრობილი რურის ოლქის ცხოვრებიდან.

ლეონიდ ანდრეევის პიესები ინგლისურად ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოვიდა ლ. ანდრეევის ორი პიესა: „სამსონი ბორკილებში“ და „კატერინა“.

წიგნი ბაირონზე. ლონდონში გამოვიდა ნიკოლსონის ახალი შრომა ბაირონზე. შრომა შეეხება ბაირონის უკანასკნელ მოგზაურობას საბერძნეთში (1823—24 წ).

საფრანგეთი.

ანტიმილიტარისტული პიესა. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო პარიზში პოლ რეინალის ახალმა პიესამ. პიესაში ავტორი გამოხატავს თავის ანტიმილიტარულ და ომის საწინააღმდეგო სულიერ განწყობილებას. წარმოდგენის დროს დარბაზი ორ ბანაკად გაიყო. ერთი ნაწილი აღტაცებული იყო პიესით, მეორე კი—აღშფოთებას გამოსთქვამდა.

ყიულ რომენის ახალი პიესა. „ელისეის მიდგრის თეატრში“ (პარიზში) ეხლახან დადგმულ იქმნა ჟიულ რომენის ახალი პიესა „კნოკი ანუ მედიცინის გამარჯვება“.

ჟანკონოს ახალი პიესა. უკანასკნელად ჟანკონომ გამოაქვეყნა „სამშობლო სახლი“, რომლის დაწერაზე ის მუშაობდა სამს წელს, და ამბობდა: „არ ვიცი როდის დავასრულებო“.

გერმანია.

გერმან ბარის ახალი პიესა. გერმანულ გაზეთების ცნობით გერმან ბარის ახალმა პიესამ ძლიერ აახმაურა გერმანიის საზოგადოება. პიესის თემა არის თანამედროვე კაპიტალისტურ ქალაქებში გამეფებული მორალური სული.

ავსტრია.

მაკს რეინჰარტი. მაკს რეინჰარტი, რომელიც ეხლა ამერიკაში იმყოფება საგასტროლოდ, ბრუნდება კვლავ ვენაში და აარსებს თეატრს.

წარმოდგენები მუშებისთვის. ვენის „მუშათა გაზეთის“ ცნობით ვენაში არ ასებობს მუშათა თეატრი. პროლეტარიატი ესწრაფეება ქალაქის თეატრების წარმოდგენებს, რომლებიც თავის ფსიქოლოგიით და ტრადიციით არის ბურჟუაზიული. თეატრის განახლებისაკენ, მიისწრაფის პროლეტარული ორგანიზაცია „მხატვრული ბიურო“, რომელიც ყოველ კვირაობით სდგამს თავის წარმოდგენებს ვენის თეატრებში.

მხატვრობა

„ზნეობის დამცველნი“.

თებერვლის დამლევს ბერლინის -სასამართლოში გაირჩა გერმანელ მხატვარ კარიკატურისტის გეორგ გროსის საქმე. გეორგ გროსმა გამოსცა თავისი კარიკატურების ალბომი. ამ ალბომში შეკრებილი იყო მისი კარიკატურები, რომლებშიც ხატავენ გერმანიის ბურჟუაზიის გარყვნილ ცხოვრებას, მხატვართან ერთად პასუხისგებაში მისცეს ალბომის გამომცემელიც. მხატვარს ბრალს დებდენ იმაში, რომ ის „უზნეობას“ ქადაგებსო.

ექსპერტებად მოწვეული იყვენ; ცნობილი გერმანელი მწერალი მაქსიმილიან გარდენი, მხატვარი-კრიტიკოსი მაქს ოსბორნი და სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი მაქს ლიბერმანი. ექსპერტები კატეგორიულად უარყოფდენ პროკურორის მტკიცებას თითქოს გროსის კარიკატურებში რაიმე უზნეობას ჰქონდეს ადგილი და აღნიშნავდენ, რომ კარიკატურებს უდიდესი მხატვრული ღირსება აქვთ.

თვით ბრალდებულმა განაცხადა, რომ მას თავისი კარიკატურებით სურდა სამარცხვინო ბოძზე გაეკრა თანამედროვე „მაღალი“ საზოგადოების გარყვნილი ცხოვრება და ზნე-ჩვეულებები და ამიტომ მას ხატავდა ისე, როგორც ხედავდა სინამდვილეში.

სასამართლო არ დაეთანხმა ექსპერტების აზრს და პროკურორის მოთხოვნილების თანახმად მხატვარს და გამომცემელს 500 ოქროს მარკა ჯარიმა მიუსაჯა თითეულს.

სპორტი

რუსეთი.

ყვითლები ყველგან ყვითლები არიან.

როგორც ვიცით, არსებობს წითელი სასპორტო ინტერნაციონალი (მოსკოვში) და ყვითელი სასპორტო ინტერნაციონალი (ლიუცერნში—შვეიცარია). აპრილის ბოლო რიცხვებში ფრანგფურტში (გერმანია) გაიმართა ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალის საერთაშორისო კონგრესი. ამ კონგრესზე დასასწრებად გაემგზავრა წითელი სასპორტო ინტერნაციონალის (წითელი სასპორტო ინტერნაციონალი აერთებს მუშათა სასპორტო ორგანიზაციებს, ყვითელ სასპორტო ინტერნაციონალში კი შერეული შემადგენლობაა—მუშათა სასპორტო ორგანიზაციებთან ერთად, ბურჟუაზიული სასპორტო ორგანიზაციებიც შედიან) აღმასკომის დელეგაცია, რომელიც ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალის ყვითელმა ბელადებმა არ დაუშვეს კონგრესზე, მიუხედავად იმისა, რომ მუშათა სასპორტო ორგანიზაციების წარმომადგენელთა დიდმა უმრავლესობამ ამის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტი განაცხადა.

მაგრამ ლიდერები იძულებული შეიქნენ დასთანხმებულიყვენ ახლო ხანში შერეული კომისიის მოწვევაზე მუშათა სასპორტო მოწვევაზე მუშათა სასპორტო მოძრაობაში ერთიანი ფრონტის შექმნის საკითხის განსახილველათ.

წითელი სასპორტო ინტერნაციონალის დელეგაციამ მოახერხა კონგრესზე ჩამოსულ მუშათა სასპორტო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მემარცხენე ფრთის თათბირის მოწვევა.

საინტერესო შეჯიბრება.

ივნისის შუა რიცხვებში მოსკოვის საავტომობილო კლუბის საჰაერო ბურთი აწყობს გამოდევნებას. შეჯიბრების მონაწილენი იკრიბებიან აეროდრომზე (შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეიძლება ავტომობილებით, ველოსიპედებით), და ერთი საათით ადრე ბურთის გაფრენამდი მათ აწვდიან ცნობას ქარის მიმართულების და მისი სიმძლავრის შესახებ, რათა გამოდევნებაში მონაწილეებმა გამოარკვიონ თუ რა მიმართულებით უნდა ეძებონ ბურთი. მფრინავი უნდა დაეშვას 50 ვერსის მანძილზე მოსკოვიდან, ჰაერში უნდა დაჰყოს არა უმეტეს სამი საათისა. გამარჯვებულათ ჩაითვლება შეჯიბრების ის მონაწილე, რომელიც პირველათ აღმოაჩენს მფრინავს და ჩააბარებს მას საკონტროლო ბარათს. თუ საჰაერო ბურთის დედამიწაზე დაშვების შემდეგ—40 წუთის განმავლობაში ვერავინ აღმოაჩენს მას, გამარჯვებულათ ჩაითვლება მფრინავი და ის მიიღებს ჯილდოს.

საფრანგეთი.

ყოველგან შოვინიზმს შხამს ანთხევენ. საფრანგეთის მთავრობამ წინადადება მისცა ყველა თავის კონსულებს არ მისცენ საფრანგეთში შემოსვლის ნება გერმანელ სპორტსმენებს, რომლებიც სხვა და სხვა სასპორტო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებიან საფრანგეთის მთავრობა (პუანკარესი) არასასურველად თვლის გერმანელ სპორტსმენების გამარჯვებას სასპორტო შეჯიბრებებში.

ხელოვნების ქრონიკა

კონსერვატ. მოწაფეთა საჩვენებელი საღამო. 16 ივნისს საოპერო თეატრში გაიმართა კონსერვატორიის საოპერო კლასის მოწაფეთა საჩვენებელი საღამო-წარმოდგენა.

კოლექტივი „ჯეირანი". წითელი თეატრის ქართული დრამის სეზონი დაიხურა. „ჯეირანის" კოლექტივი ზაფხულის განმავლობაში მოაწყობს რამდენიმე წარმოდგენას პროვინციაში.

„წითელი დერვიში". ოპერის თეატრში დადგმული იქნა პიესა: „წითელი დერვიში". პიესა რევოლიუციონერია და მხატვრულადაც დაწერილი.

თეატრები დასასვენებელ სახლებთან. პროფ-საბჭომ გადასწყვიტა დასასვენებელ სახლებთან მოაწყოს თეატრები და სამკითხველოები.

პროლეტკულტის დრამ. სტუდიის ქართული სექტორი. პროლეტკულტის ქართული სტუდია დ კომახიის რეჟისორობით ამზადებს: „ალთქმის ქვეყნისაკენ". პიესა ს. ეულის.

"წიგნი ლენინზე". ტფილისში გამოვიდა სრულ ტანიანიანი წიგნი, რომელშიაც შედის ყველა საინტერესო მასალები, რომელიც კი იყო მიძღვნილი ბელადის ხსოვნისადმი.

ინასარიძის წიგნი გამოვიდა და იყიდება პოეტის ნ. ინასარიძის ლექსების წიგნი „ქარი".

პროლეტკულტი. პროლეტკულტის ლიტ. სტუდია ახლო მომავალში გამოუშვებს ჟურნალს: „სადარაჯოზე".

„ლატავრა". ს. შანშიაშვილის პიესა: „ლატავრა" შევიდა აკადემიურ თეატრის რეპერტუარში.

სახ. კინ. მრეწველობა. ბეკ-ნაზაროვის რეჟისორობით ამ დღეებში დამთავრდება სურათი: „ლაკარგული სუნჯე"-ს გადაღება.

„ჩვენი ქვეყნის რაინდი". ამ დღეებში ჩვენი კინო თეატრები უჩვენებენ სურათს: „ჩვენი ქვეყნის რაინდი".

ს. ერთაწმინდელის წიგნი იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა სეზმან ერთაწმინდელის ლექსების წიგნი: „ეშაფოტი".

რომანი „ფატი" პროლეტარული პოეტი პეტრე სამსონისძე სწერს და მალე დაასრულებს რომანს: „ფატი" თემად აღებული საქართველოს ცხოვრება 1917 წლის რევოლიუციიდან მის გასაბჭოებამდე.

„წითელი გუშაგი" გამოვიდა ჟურნალი „წითელი გუშაგი".

თელავის სახალხო სახლი. თელავის სახ. სახლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ქ. აღმასკომმა გადასდო 300 მანეთი.

აღმოსავ. მუსიკის საღამო. 15 ივნისს რუსთავ. თეატრში გაიმართა აღმოსავლეთის მუსიკის საღამო გ. ვარდიანის მონაწილეობით

მოსე გოგიბერიძის წიგნი. გამოვიდა და იყიდება მოსე გოგიბერიძის: „აინშტეინის რელატივობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები". წიგნი შეიცავს 60 გვერდს.

ჟურნ. „მნათობი". გამოვიდა ჟურნალი: „მნათობი"-ს მესამე ნომერი.

ს. შანშიაშვილის ახალი პიესა. სანდრო შანშიაშვილის ახალი პიესა „სპარტაკი" დაიდგა სახალხო სახლის თეატრში.

„ქვეყანა, რომელსაც ხედავ". ამ დღეებში გამოვა კონსტ. გამსახურდიას წიგნი: „ქვეყანა, რომელსაც ხედავ".

ალ. წუწუნავას ჩამოსვლა. საბჭ. რუსეთიდან ჩამოვიდა რეჟისორი ალ. წუწუნავა, რომელიც მოწვეულია, წითელი თეატრის მთავარ რეჟისორად.

გამოფენა სამხატვრო აკადემიაში. გაიხსნა სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრის გამოფენა, რომელიც გაგრძელდება ივნისის 22 მდე.

ს. შანშიაშვილის ახალი პიესა. ს. შანშიაშვილმა დასწერა ახალი პიესა: „ჰიმნი გლეხებს.

ეგნატე ნინოშვილი. პეტრე გელეიშვილმა დასწერა ეგნატე ნინოშვილზე კრიტიკა, რომელიც იბეჭდება „რევოლიუციის მატიანეში".

სახ. კონსერვატორიის რეორგანიზაცია. შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელიც დაათავებს შარშან დაწყებულ სახ. კონსერვატ. რეორგანიზაციას.

ქუთაისის თეატრი მსახიობმა იუზა ზარდალიშვილმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე რათა ქუთაისის დასი იქნეს გამოცხადებული აკადემიურად და მსახიობს მიეცეს წლიური ჯამაგირი.

მსახიობთა კონფერენცია. კვირას 8 ივნისს, შესდგა საქ. მსახიობთა კულტურული კავშირის საზოგადო წლიური კრება.

დრამ. სტუდიის მოგზაურობა. სახ. სათ. ინსტიტუტის დრამ. სტუდია აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით აპირებს მოგზაურობას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში წარმოდგენილი იქნება: „ადამიანი—მასსა".

რევ. შემოქმედების საღამო. 2 ივნისს სახ. ოპერის თეატრში გაიმართა პროლეტარულ მწერალთა კავშირის საჩვენებელი საღამო ფართე პროგრამით.

წიგნი ალ. ყაზბეგზე. გამოვიდა მიხ. ზანდუკელის წიგნი: „ალ. ყაზბეგი".

აკაკის ნაწერები. სახ არქივში აღმოჩნდა აკაკი წერეთლის დაუბეჭდავი ლექსები. რომლებიც არ გაუშვია მეფის ცენზურას.

ძ. ლოლუას კონცერტი. 22 ივნისს გაიმართება ცნობილ ლოტბარის ხელმძღვანელობით სახალხო მომღერალთა კონცერტი.

კონ ჰიჰინაძის ლექსების წიგნი. გამოვიდა და იყიდება კონსტ. ჰიჰინაძის რჩეულ ლექსების წიგნი.

დახმარება პროლეტკულტს. ამ.-კავკ. უმაღლეს ეკონომ. საბჭომ გადასწყვიტა აღმოუჩინოს ყოველთვიური დახმარება საქ. პროლეტკულტს.

სახალხო მომღერალთა და ლოტბართა კონფერენცია სახალხო მუსიკის მოყვარული საზოგადოება ა. წ. ივნისის 29 იწვევს ქ. ქუთაისში კონფერენციაზე რჩეულ ხალხურ მომღერლებს, ცნობილ მუსიკოსებს და ლოტბარებს სრულიად საქ. მასშტაბით.

ხელოვნების დროშა" გამოვიდა ხელოვნების მუშაკთა პროფეკავშირის ჟურნალი: „ხელოვნების დროშა".

აჭარის სახალხო სიმღერები. აჭარისტანის სახალხო კომისართა სამჭომ აჭარაში მიიწვია კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე აჭარის ხალხური სიმღერების ჩასაწერად.

მომღერალი ა. ინაშვილის დაბრუნება. სახალხო განათლების კომისარიატმა იტალიიდან გამოიწვია მომღერალი ალ. ინაშვილი. მომავალ სეზონში ინაშვილი იმღერებს ტფილისში.

ლადო გუდიაშვილის და დ. კაკაბაძის დაბრუნება. პარიზიდან დაბრუნდებიან მხატვრები დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი. მომავალ სეზონში ორივე მხატვრები მოწვეული იქნებიან აკადემიურ თეატრებში.

ვლ. მაიაკოვსკის „მისტერია ბუფ". სახელმწიფო თეატრების რეპერტუარში შეტანილია ვლ.მაიაკოვსკის პიესა: „მისტერია ბუფ". პიესას სდგამს რეჟისორი კ. მარჯანიშვილი ერთ-ერთ ბაღში ტფილისში ღია ცის ქვეშ.

მიხ. ადამაშვილის წიგნი. დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ მიხეილ ადამაშვილის მოთხრობათა კრებული. წიგნში მოთავსებულია მოთხრობათა გარდა ახალი ნაწერები.

ლეო ქიაჩელის წიგნი. დაიბეჭდა და გამოვიდა ლეო ქიაჩელის მოთხრობათა პირველი ტომი

ილია ნაკაშიძის ნაწერები სახელმწიფო გამომცემლობამ დაამზადა გამოსაცემად ი. ნაკაშიძის სრული ნაწერები.

სანდრო ეულის წიგნი რუსულად. ტფილისში გამოვიდა რუსულ ენაზე სანდრო ეულის წიგნი: „Чотах" ლექსები ნათარგმნია დუბენსკის მიერ.

ქართველ მხატვრების გამოფენა. განზრახულია ქართველი ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა. გამოფენას ხელმძღვანელობს მხატვართა კავშირის საბჭო.

მხატვართა ექსკურსია ქართველ მხატვართა წრეში ემზადებიან ვინიცაიაში მსოფლიო გამოფენაზე ექსკურსიის მოსაწყობად. განზრახულია ექსკურსიის ფონდის შესაქმნელად გამართონ დიდი საღამო.

მხატვართა კავშირში. დასრულდა მხატვართა კავშირის მესამე კონფერენცია. კონფერენციამ აირჩია ახალი საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია ვახტანგ კოტეტიშვილი, მდივნად ი. ტოფაძე.

ნიკო ფიროსმანი. მოსკოვიდან ჩამოვიდა მხატვარ ნიკო ფიროსმანის მონოგრაფიისათვის დამზადებული კლიშეები. წიგნის ბეჭდა ადრე მოთავდება.

მომავალ ოპერის სეზონისთვის. მომავალი ოპერის სეზონისათვის განზრახულია ოპერის თანდათანობით გაეროვნება. შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელიც გაუკეთებს რედაქციას თარგმნილ ოპერებს და რომლის ხელმძღვანელობითაც ითარგმნებიან ახალი ოპერები. მომავალ სეზონში დაიდგმება ქართულად 15 მდე ორიგინალური და ნათარგმნი ოპერები.

სტამბა „ზარია" ვოსტოკაისი საშა წულუკიძის ქუჩა № 4.